

შოთა დემეტრაძე

დაზარალებულის უფლება-მოვალეობები სისხლის სამართლის პროცესში

წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომის პროექტი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი, 0178, საქართველო

2021 წელი

საავტორო უფლება © 2021 წელი, შოთა დემეტრაძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი შოთა დემეტრაძის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომის პროექტს: დაზარალებულის უფლება-მოვალეობები სისხლის სამართლის პროცესში (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) და მზად არის დასამტკიცებლად.

ხელმძღვანელი: ბესიკ მეურმიშვილი

თარიღი: 25.03.2021

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში გადმოცემულია დაზარალებულის უფლება-მოვალეობები და მისი სამართლებრივი სტატუსი სისხლის სამართლის პროცესში.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია დაზარალებულის არსი და მისი სამართლებრივი მნიშვნელობა სისხლის სამართალწამოებაში. დაზარალებულის უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია სხვადასხვა კანონმდებლობით, რომელიც დროთა განმავლობაში უფრო მეტად განვითარდა სამართლებრივი კუთხით.

მეორე თავი ყურადღებას ამახვილებს დღეის მდგომარეობით დამდგარ იმ სამართლებრივ პრობლემებზე, რომელიც ხელს უშლის დაზარალებულს სრულყოფილად გამოიყენოს თავისი უფლებები, რათა არ შეილახოს მსხვერპლის ინტერესები.

მესამე თავი ეხება აღდგენით მართლმსაჯულებას. აღნიშნული ინსტიტუტი აღიარებულია საერთაშორისო დონეზე. დაზარალებულის და დამნაშავეს ერთ საზოგადოებაში თანაცხოვრება წარმოუდგენელია, თუ არ მოხდება ერთის მხრივ, დამნაშავეს მიერ დანაშაულის აღიარება და მეორეს მხრივ, დაზარალებულისთვის პოტენციური შიშის გაქრობა.

ბოლო თავში წარმოდგენილია უცხო ქვეყნების პრაქტიკა დაზარალებულის უფლებების დაცვის თვალსაზრისით. მოყვანილია სხვადასხვა ქვეყნების მაგალითი და შედარებულია ქართულ კანონმდებლობასთან. საერთაშორისო გამოცდილება დიდი გავლენას ახდენს ეროვნული კანონმდებლობის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე.

დღესდღეობით, ქვეყანაში განხორციელებულმა საკონსტიტუციო რეფორმებმა და პრაქტიკით ჩამოყალიბებულმა ცვლილებებმა გააუმჯობესა დაზარალებულის უფლებები, მაგრამ მაინც არსებობს საკანონმდებლო ხარვეზები, რომლებიც აუცილებლად უნდა გადაიხედოს სამომავლოდ.

Abstract

This paper sets out the rights and responsibilities of the victim and his or her legal status in criminal proceedings.

The first chapter of the paper discusses the essence of the victim and its legal significance in criminal proceedings. The rights and responsibilities of the victim are defined by various laws, which over time have become more developed in terms of law.

The second chapter focuses on the current legal problems that prevent the victim from fully exercising his or her rights in order not to infringe on the interests of the victim.

The third chapter deals with restorative justice. This institution is internationally recognized. Cohabitation of the victim and the perpetrator in one society is unthinkable, unless on the one hand, the perpetrator confesses to the crime and, on the other hand, Disappearance of potential fear for the victim.

The last chapter presents the practice of foreign countries in terms of protection of the rights of the victim. An example of different countries is given and compared with Georgian legislation. International experience has a great influence on the formation and development of national legislation.

Today, constitutional reforms and changes in practice in the country have improved the rights of victims, but there are still legislative gaps that must be reconsidered in the future. International experience has a great influence on the formation and development of national legislation. Today, constitutional reforms and changes in practice in the country have improved the rights of victims, but there are still legislative gaps that must be reconsidered in the future. International experience has a great influence on the formation and development of national legislation. Today, constitutional reforms and changes in practice in the country have improved the rights of the victim, but there are still legislative gaps that must be reconsidered in the future.

შესავალი

მსოფლიო მასშტაბით დემოკრატიული სახელმწიფოთა უმთავრესი მიზანია ადამიანის უფლებების დაცვა, მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია დაზარალებულის უფლება-მოვალეობები. 2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმდა ასოცირების ხელშეკრულება, რომლის 217-ე მუხლით დამკვიდრდა მხარეებს შორის განსაკუთრებული და პრივილეგირებული ურთიერთობები. ამან ასოცირებული სახელმწიფო წევრობის გარეშე დაუკავშირა ევროკავშირის სისტემას. საქართველომ მართლმსაჯულების კუთხით გაატარა მთელი რიგი ღონისძიებები, რაც გამოიხატება პირველი რიგში, ადამიანის უფლებების დაცვით. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელდა რევილუციური რეფორმა. აღიშნული რეფორმით შეიცვალა არა ერთი ფუნდამენტური საკითხი. ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა ძირეულად შეცვალა დაზარალებულის როლი სისხლის სამართალწარმოებაში.

ქართულ კანონმდებლობაში აღნიშნული საკითხი აქტუალურია, ვინაიდან საქართველომ დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა-ზოგჯერ დაზარალებულის უფლება-მოვალეობები ფართო სპექტრით განიხილებოდა,

ზოგჯერ კი შევიწროებული ფორმით იყო მოცემული. აღნიშნული ცვლილებები გამოიწვია ვიქტიმოლოგიის მნიშვნელობის მსოფლიო მასშტაბით მკვეთრად ზრდამ. თუ არ იქნება დაზარალებულის უფლებები დაცული სახელმწიფოს მხრიდან, შესაძლებელია დანაშაულის მსხვერპლს გაუჩნდეს სურვილი თვითონ აღადგინოს სამართლიანობა.

ნაშრომის მიზანია თეორიულად და პრაქტიკაში გამოვლენილი პრობლემატიკის ფონზე გაანალიზოს როგორია დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 2010 წლის ცვლილებებით, სისხლის სამართლის ინკვიზიციური მეთოდიდან შეჯბრებითობის პრინციპზე გადავინაცვლეთ. სახელმწიფომ უნდა შეცვალოს კანონმდებლობა და პრაქტიკა დაზარალებულთა უფლება-მოვალეობებთან მიმართებით. ერთი მხრივ, მიუღებელია მართლმსაჯულების იდეას წარმოადგენდეს შურისძიება, მეორე მხრივ კი მიუღებელია მართლმსაჯულების განხორციელება დაზარალებულის მიერ განცდილი ზიანისა და დარღვეული უფლებების აღდგენის გარეშე.

ნაშრომის გარკვეული საკითხების სიღრმისეულად შესწავლის მიზნით გამოყენებული იქნება შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდი, რომლითაც განხილული და ერთმანეთზე შედარებული იქნება საქართველოს პრაქტიკა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების პრაქტიკასთან. განხილული იქნება ამ ქვეყნების გამოცდილება, თუ რა გავლენა იქონია დაზარალებულის უფლებათა ცვალებადობამ სისხლის საართალწარმოების პროცესზე. ამ მეთოდით ასევე ერთმანეთზე შედარებული იქნება საქართველოში სხვადასხვა დროს მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა. ასევე ინდუქციური კვლევის მეთოდით გაანალიზდება საქართველოს სასამართლოების პრაქტიკა და მისი სამართლებრივი შედეგები.

ნაშრომი შედგება შესავლის, დასკვნის, სამი თავისა და რამდენიმე ქვეთავისგან. პირველი თავი დაეთმობა დაზარალებულის ცნების განსაზღვრას და მის ადგილს სისხლის სამართალწარმოებაში. მეორე თავში განხილული იქნება დაზარალებულის ცალკეული უფლებები და ის საკანონმდებლო და პრაქტიკული ხარვეზები, რაც არსებობს

დაზარალებულის უფლებების მიმართებით. ბოლო თავი შეეხება შედარებით-სამართლებრივ ანალიზს, სადაც მოყვანილი იქნება სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკა აღნიშნულ საკითხზე.

სარჩევი

შესავალი

1. დაზარალებულის ცნება და მისი ადგილი სისხლის სამართლის პროცესში
 - 1.1 დაზარალებულის ცნება სისხლის სამართლის პროცესში
 - 1.2 პირის დაზარალებულად ცნობა და მისი პრობლემატიკა
 - 1.3 დაზარალებული ინკვიზიციური სისხლის სამართლის პროცესში 1998 წლის საპროცესო კოდექსის მიხედვით
 - 1.4 დაზარალებული შეჭიბრებით სისხლის სამართლის პროცესში 2010 წლის საპროცესო კოდექსის მიხედვით
2. პრაქტიკაში არსებული ხარვეზები და გამოწვევები დაზარალებულის ცალკეულ უფლებებთან დაკავშირებით
 - 2.1 ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

2.2 საქმის მასალების გაცნობისა და სისხლის სამართალწარმოების პროცესზე ინფრომაციის მიღების უფლება

2.3 პროკურორის გადანყვეტილების გასაჩივრების უფლება

2.4 მტკიცებულებების წარდგენის უფლება

2.5 დაზარალებული, როგორც მონმე

2.5.1 „დაზარალებული“ მონმის ვალდებულება თქვას მხოლოდ სიმართლე

2.5.2 „დაზარალებული“ მონმის ვალდებულება თქვას მხოლოდ სიმართლე

2.6 დაზარალებულის უფლებები საპროცესო შეთანხმებისას

3. დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა აღდგენითი მართლმსაჯულების ფარგლებში

3.1 აღდგენითი მართლმსაჯულების მნიშვნელობა

3.2 დაზარალებული მედიაციის პროცესში

3.3 მედიაციის და სასჯელის ურთიერთმიმართება

4. დაზარალებული სხვა ქვეყნების სამართალში (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)

4.1 დაზარალებულის უფლებები პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში

4.2 დაზარალებულის უფლება იყოს ინფორმირებული სისხლისსამართალწარმოების შესახებ

4.3 დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაციისგან დაცვის მექანიზმი

4.4 სიცოცხლის ხელყოფის ან არასათანადო მოპყრობის შედეგად დაზარალებული პირები

4.5 ზიანის ანაზღაურება - რეპარაცია

4.6 სამართლიანი სასამართლოს უფლება დაზარალებული პირებისთვის

4.7 დაზარალებულის უფლებების აშშ-ს კანონმდებლობის მიხედვით

დასკვნა

ბიბლიოგრაფია

1. დაზარალებულის ცნება და მისი ადგილი სისხლის სამართლის პროცესში

1.1 დაზარალებულის ცნება სისხლის სამართლის პროცესში

დაზარალებული სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაწილეა, რომლის უფლებებიც დროის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვაგვარად იყო დაცული. დაზარალებულის სტატუს და უფლებრივ მდგომარეობას დიდი როლი ენიჭება სისხლის სამართალწარმოების განხროციელებისას.¹

¹დ.კარიაული, დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი, N2(29), გვ.139-140

სისხლის სამართლის პროცესში პირის უფლებების, თავისუფლებისა და ინტერესების დაცვა სახელმწიფოსა და სამართალდამცავი ორგანოების პრეროგატივაა, თუმცა დიდი დროის განმავლობაში სწორედ ამ ორგანოების მხრიდან აქცენტი კეთდებოდა დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი და ბრალდებული პირების დაცვაზე. სამწუხაროდ დაზარალებული, რომლის უფლებების დამცველი უნდა იყოს სახელმწიფო დიდი ხნის განმავლობაში სათანადო ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი, ეს მაშინ როდესაც შეჯიბრებითობის პრინციპი გულისხმობს პროცესის ისე წარმართვას, რომ მასში ბრალდების და დაცვის ფუნქციები იყოს თანაბარი.²

ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებული აქტუალურობით გამოიჩინა დაზარალებულის საპროცესო სამართლებრივი მდგომარეობა და მისთვის სისხლის სამართლის პროცესში შესაბამისი უფლებამოსილებათა მინიჭების საკითხი. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის ვიქტიმოლოგიის მნიშვნელობის ზრდა მსოფლიოს მასშტაბით. იურიდიულ ლიტერატურაში არაერთგზის გამოითქვა მოსაზრება, რომ დაზარალებულს სისხლის სამართლის პროცესში უფრო ფართო უფლებამოსილება უნდა ენიჭებოდა. აღნიშნული საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპის კავშირის საბჭოს მიერ საერთაშორისო დონეზე იქნა განხილული. ამ ორგანიზაციებმა წევრ სახელმწიფოებს, თავიანთ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, დაზარალებულის პოზიციების გაუმჯობესებისაკენ მოუწოდეს. დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმეტესმა ნაწილმა აღნიშნული რეკომენდაციები გაითვალისწინა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში არსებითი ცვლილებები შეიტანა, თუმცა ამაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ.³

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 68-ე მუხლის თანახმად დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის ან შეურაცხი

²

³ გ. თუმანიშვილი, დაზარალებული თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში, გამომცემლობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, სამართლის ჟურნალი N2, თბილისი, 2009. გვ., 63-64

პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად ანდა, რომელსაც ასეთი ზიანი მიაყენა დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადებულმა პირმა. ამდენად სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის სტატუსით შეიძლება სარგებლობდეს სახელმწიფო, ფიზიკური პირი ან/და იურიდიული პირი. ⁴ასევე თუ დანაშაულის შედეგად დაზარალებული გარდაიცვალა მისი უფლებები შეიძლება მიენიჭოს მის რომელიმე ახლო ნათესავს. თუ გარდაცვლილსა და მის ნათესავს ერთმანეთთან მჭიდრო ემოციური ურთიერთობა ჰქონდათ ან ნათესავი ფინანსურად იყო დამოკიდებული გარდაცვლილზე. ეს წრე განსაზღვრულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსსა და ევროსაბჭოს დირექტივაში.

რაც შეეხება ზიანს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად ზიანი შეიძლება იყოს მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი. თუმცა ციპვის შეხედულების მიხედვით დანაშაულის მსხვერპლი ანუ „დაზარალებული“ პირი, რომელმაც დანაშაულის შედეგად ზიანი განიცადა, მიუხედავად იმისა, ეკუთვნოდა თუ არა მას დაზარალებული სამართლებრივი სიკეთე ან კანონით შეუძლია თუ არა მას კანონმდებლობით მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს.⁵

1.2 პირის დაზარალებულად ცნობა და მისი პრობლემატიკა

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით დაზარალებულის როლში შესაძლოა მოგვევლინოს სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი. მნიშვნელოვანი

⁴ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი. მუხლი 68

⁵ მ. შალვაშვილი, ვიქტიმოლოგია-მეცნიერება დანაშაულს მსხვერპლს შესახებ, გამომც., „მერდიანი“, თბილისი, 2011წ გვ.14

ფაქტორია ის, რომ დაზარალებულს უნდა მიაღვეს მორალური, მატერიალური ან ფიზიკური ზიანი ჩადენილი დანაშაულის შედეგად.⁶

დაზარალებულის პროცესუალური სტატუსის მისაღებად საჭიროა მატერიალური და ფორმალური წინაპირობების არსებობა. მატერიალურ წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ პირს უშუალოდ დანაშაულის შედეგად უნდა მიაღვეს მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი. ფორმალური წინაპირობა კი წარმოადგენს დანაშაულის მსხვერპლის დაზარალებულად ან მისი ახლო ნათესავის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ პროკურორის დადგენილებას. პირის დაზარალებულად ცნობა ხდება გამოძების სტადიაზე. გამოძების დაწყებისას პროკურორისთვის ცნობილი თუ გახდა დანაშაულებრივი ქმედებით პირისთვის ზიანის მიყენების ფაქტი, აღნიშნული პირი ცნობილი უნდა იქნეს დაზარალებულად.⁷ პირის დაზარალებულად ცნობისათვის აუცილებელი არ არის ამ პირის ნება - სურვილი, არც მისი ასაკი, არც მისი ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა. პროკურორი ვალდებულია მატერიალური/ფორმალური საფუძვლების არსებობისას პირს მიანიჭოს დაზარალებულის პროცესუალური სტატუსი. პირის დაზარალებულად ცნობა უნდა მოხდეს საქმის სასამართლოში გადაგზავნამდე. სასამართლო განხილვების დროს პირისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება სამართლებრივად შეუძლებელია. დაზარალებულად ცნობის საფუძველია ასევე პროკურორისთვის განცხადებით მიმართვა. განცხადების მიმართვის შემთხვევაში, პროკურორმა 48 საათში უნდა სცნოს პირი დაზარალებულად დადგენილებით. თუ პროკურორმა უარი განაცხადა დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე, პირს შეუძლია ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდომ პროკურორთან აღნიშნული გადაწყვეტილება. სასამართლოში მიმართვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.⁸

⁶ ლ. ფაფიაშვილი და სხვ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბილისი, გამომც. „მერიდიანი“, 2015. გვ. 218

⁷ იგივე, გვ. 219-220

⁸ იგივე, გვ., 221

როდესაც სახელმწიფო გვევლინება დაზარალებულის სტატუსით, მის ინტერესებს იცავს პროკურორი სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერით. ხოლო რაც შეეხება იურიდიული პირს, სისხლის სამართლის პროცესში ის მონაწილეობს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მეშვეობით.⁹

განსახილველი საკითხია ის, რომ დაზარალებულს, თუ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია გაასაჩივროს სასამართლოს გზით ზემდგომი პროკურორის გადანყვეტილება. თუ პირი დაზარალებულად ცნეს ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულისთვის, სასამართლო კონტროლის მექანიზმი ზემდგომი პროკურორის გადანყვეტლებაზე არ არსებობს. დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადანყვეტილება თავიდანვე შეთანხმებულია ზემდგომ პროკურორთან, ამიტომ დაზარალებულისთვის მისი ამ ფორმით გასაჩივრება, როგორც წესი, არ არის შედეგის მომცემი. გამოდის, რომ გასაჩივრება ატარებს ფორმალურ ხასიათს. გარდა ამისა, სასამართლოში გასაჩივრება სასჯელის სიმძიმეზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, მით უმეტეს შესაძლოა გამოძიების პროცესში შეიცვალოს დანაშაულის კვალიფიკაცია. დაზარალებულს არ უნდა წაერთვას უფლება სასამართლოს გზით იდავოს. სასამართლო კონტროლი ნამდვილად ეფექტურია, რათა პროკურორმა ბოროტად არ გამოიყენოს დისკრეციული უფლებამოსილება, მაგრამ ბუნდოვანია, რა კრიტერიუმითაა შელცეული მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში გასაჩივრების უფლება.¹⁰

1.3 დაზარალებული ინკვიზიციური სისხლის სამართლის პროცესში 1998 წლის საპროცესო კოდექსის მიხედვით

⁹ იგივე, გვ., 221

¹⁰ ხ. ყვირალაშვილი, დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, გამოცემა: საია, თბილისი, 2016. გვ. 9-10

თითოეული ქვეყანა სხვადასხვაგვარად მიისწრაფის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამართალწარმოების სისტემის ჩამოსაყალიბებლად. დღესდღეობით სამართლის სისტემაში არსებობს ორი ძირითდი ფორმა სისხლის სამართალწარმოების: ინკვიზიციური და შეჯიბრებითი სამართალწარმოება. არსებობს მესამე ფორმაც, რომელიც არის შერეული - შეიცავს როგორც ინკვიზიციური, ისე შეჯიბრებითი სამართალწარმოების ელემენტებს.

ინკვიზიციური (სამძებრო) პროცესი წარმოიშვა მონათმფლობელურ საზოგადოებაში და ფართოდ გავრცელდა აბსოლუტიზმის ეპოქაში. ინკვიზიციური პროცესი ძირითადად დამახასიათებელია კონტინენტური სამართლის ქვეყნების სამართლის სისტემისთვის. საგამოძიებო პროცესში საქმის გარემოებების გამოკვლევის პრივილეგია გააჩნიათ სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელ სახელმწიფო ორგანოებს. მხარეები მონაწილეობას არ იღებენ აღნიშნულ პროცესში. გამოძიების მსგავსად, სასამართლოს პროცესის ატარებს ინკვიზიციურ ელემენტებს. სისხლისსამართლებრივ ორგანოს გააჩნია ვალდებულება *ex officio* გამოიკვლიოს ბრალდებულის მამხილებელი და ასევე გამამართლებელი გარემოებები.¹¹ შეჯიბრებითი პროცესისგან განსხვავებით, მოსამართლე დამოუკიდებლად ატარებს სასამართლო გამოძიებას, არ იზღუდება მხარეთა შუამდგომლობებით და მოსაზრებებით, ასევე ვალდებულია გამოიძიოს და მოიპოვოს ყველა მნიშვნელოვანი მტკიცებულება, მათ შორის ისეთი, რომელიც მხარეებს არ გამოუთხოვიათ, არ მოუპოვებიათ, მაგრამ მნიშვნელოვანია სასამართლოსთვის.¹²

1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ დადგენილება გამოჰქონდა

¹¹დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, ავტ. კ.ფ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვკო, ბ.ა. ფილიმონოვი, რედ. ქ. შიუკაშვილი, თბილისი 2007წ, გვ 12

¹² იგივე, გვ 13-14

პროკურორს ან გამომძიებელს, ასევე შეეძლო აღნიშნული უფლების გამოყენება პირველი ინსტანციის მოსამართლეს.¹³

1998 წლის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებდა როგორც საჯარო სისხლისსამართლებრივ დევნას, ასევე კერძო-საჯარო და კერძო სისხლისსამართლებრივ დევნის წარმოებას. დაზარალებულის უფლებების სპექტრი საკმაოდ ფართო იყო - მას შეეძლო ყოფილიყო სუბსიდიური მბრალდებელიც. იმ შემთხვევაში, თუ სისხლის სამართალწარმოების პროცესში პროკურორი უარს იტყოდა ბრალდებაზე და დაზარალებლი არ ეთანხმებოდა ამას, საქმე არ წყდებოდა და ბრალდების როლში პროკურორის ნაცვლად გამოდიოდა დაზარალებული. რაც შეეხება კერძო ბრალდების საქმეებს (სსკ-ის 120-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული - ცემა, სსკ-ის 125-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული - ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება), საქმის აღძვრა ხდებოდა მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით. საქმე წყდებოდა დაზარალებულის და ბრალდებულის შერიგების შემთხვევაში.¹⁴ კერძო-საჯარო სამართლებრივი დევნა ასევე იწყებოდა დაზარალებულის საჩივრით, მაგრამ არ წდებოდა მხარეთა შეერიგებით, გარდა შემთხვევისა თუ სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელება ზიანს მიაყენებდა რომელიმე მხარეს.¹⁵

1.4 დაზარალებული შეჯიბრებით სისხლის სამართლის პროცესში 2010 წლის საპროცესო კოდექსის მიხედვით

2010 წლის 1 ოქტომბერს ამოქმედდა ახალი სისხლის სამართლის პროცესის კოდექსი, რომელშიც შვიდა მთელი რიგი ცვლილებები. ცვლილებები შეეხო

¹³ ხ, ყვირალაშვილი, დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, გამომც: საია, თბილისი, 2016, გვ 6-7

¹⁴ იგივე, 6-7

¹⁵ 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, (2006 წლის 28 აპრილის მდგომარეობით), მუხლი 26, ნაწილი პირველი

დაზარალებულის უფლებებსაც. შევიბრები თი სისხლის სამართლის პროცესი ინკვიზიციური პროცესიდან განვითარდა და დამახასიათებელი ანოგოსაქსური სამართლის ქვეყნებისთვის. აღნიშნული პროცესი ეფუძნება იმ დებულებას, რომ სისხლის სამართლის პროცესი ეს არი დავა სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის. ორივე მხარეს თანაბარი ულებები და მოვალეობები გააჩნიათ როგორც სასამართლოში მიმდინარე დავის დროს, ისე გამოძიების ეტაპზე.¹⁶

ცვლილებების შემდგომ დაზარალებულს ჩამოერთვა გარკვეული უფლებები და აღნიშნული კოდექსი დაზარალებულს უკვე განიხილავს როგორც მონმეს. სსსკ-ის მე-3 მუხლის 22-ე ნაწილის მიხედვით, დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიაღდა ან შეიძლება მისდგომოდა უშუალოდ დანაშაულის შედეგად. ამ დებულების მიხედვით დაზარალებულად ცნობისთვის აუცილებელია ზიანის არსებობა ან ზიანის საფრთხე. თუმცა დაზარალებულად ცნობისთვის მნიშვნელოვანია პროკურორმა გამოიტანოს დადგენილება.¹⁷

დაზარალებულის სტატუსის მინიჭებისთვის არ არის სავადებულო დანაშაულის ფაქტის ჩადენის დადგენა. დანაშაულის ფაქტის დადგენა ევალეა სასამართლოს. შესაბამისად პირის დაზარალებულად ცნობისთვის აუცილებელია ფორმალური და მატერიალური საფუძვლების არსებობა. ფორმალური საფუძველია პროკურორის დადგენილება დაზარალებულად ცნობის შესახებ, ხოლო მატერიალური საფუძველია ის, რომ პირს უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიაღდა მორალური, მატერიალური თუ ქონებრივი ზიანი.¹⁸

¹⁶ დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, ავტ. კ.ფ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვკო, ბ.ა. ფილიმონოვი, რედ. ქ. შიუკაშვილი, თბილისი 2007წ., 13

¹⁷ა. მახარაძე, ზიანი, როგორც საფუძველი პირის დაზარალებულად ცნობისთვის, მართლმსაჯულება და კანონი N1, 2009წ, 58

¹⁸ხ, ყვირაძევილი, დაზარალებულს უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, გამომც: საია, თბილისი, 2016, გვ 7-8

მას შემდეგ, რაც პირი ცნობილი იქნება დაზარალებულად, უფლება აქვს იცოდეს ბრალდების არსი, მიიღოს სისხლისსამართლებრივი დევნის ან გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების), განაჩენის და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ასლი. დაზარალებულს ასევე უნდა ეცნობოს საპროცესო მოქმედებების ჩატარების დრო და ადგილი - როდის და სად გაიმართება სასამართლოს სხდომა და ა.შ. დაზარალებულს შეუძლია წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.¹⁹

პრაქტიკის მიხედვით ჩანს, რომ დაზარალებულმა შესაძლოა განიცადოს მეორადი ვიქტიმიზაცია. ამიტომ ახალი კოდექსის მიხედვით დაზარალებულის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან საკუთრების დასაცავად შეიქმნა დაცვის მექანიზმი. ეს მექანიზმია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება, რომელშიც ჩართვის შემთხვევაში პირს ეცვლება ვინაობა, ადგილსამყოფელი და სხვა საიდენტიფიკაციო სახის ინფორმაცია.²⁰

ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა მრავალი პროგრესული სიახლე გაითვალისწინა. კოდექსი ითვალისწინებს შეჯიბრებით პროცედურებს, რომლებიც დამყარებულია მხარეთა თანასწორობაზე. გაუმჯობესებულია დაცვის მხარს უფლებები და ბრალდებულის გარანტიები. მაგრამ პარალელურად ამან გამოიწვია დაზარალებულის უფლებების შემცირება და პროცესის განმავლობაში გვევლინება, როგორც უუფლებო ობიექტი. ამიტომ 2014 წელს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ისევ შევიდა ცვლილებები, რითაც გაუმჯობესდა დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა. დაზარალებულს მიეცია უფლება გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, განსაკუთრებით მძიმე ფანაშაულის შემთხვევაში გაასაჩივროს პროკურორის

¹⁹ იგივე, 9-10

²⁰ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, (2019 წლის 08 მაისის მდგომარეობით), მუხლი 57

გადაწყვეტილება სასამართლოში. ამასთან, დაზარალებულს უფლება აქვს დაესწროს სასამართლოს სხდომებს და მოისმინოს სხდომაზე მიმდინარე გარკვეული საკითხები.²¹

2. პრაქტიკაში არსებული ხარვეზები და გამოწვევები დაზარალებულის ცალკეულ უფლებებთან დაკავშირებით

2.1 ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

დამნაშავის გასამართლება და პასუხისგებაში მიცემა ზოგჯერ არ არის საკმარისი დაზარალებულის ინტერესების ბოლომდე დასაცავად. ხშირ შემთხვევაში დაზარალებულს სურს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. დასჯის მიუხედავად, მსხვერპლისთვის მნიშვნელოვანია დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.²² დამდგარი ზიანი შეიძლება იყოს ფიზიკური, მორალური ან მატერიალური.

დაზარალებულს უფლება აქვს განაცხადოს იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას დანაშაულის შედეგად მიაღწია.²³ ზიანის ცნება მოიცავს როგორც ქონებრივ ზიანს, მასში იგულისხმება არამატერიალური ქონებრივი სიკეთეც. მოთხოვნა იმის შესახებ, რომ აუნაზღაურდეს პირს მიყენებული ზიანის საჭიროებს განსაკუთრებულ სამართლებრივ საფუძველს. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები გამომდინარეობს კონსტიტუციიდან, ხოლო კონსტიტუციას ემსახურება სზაკის XIV თავი, რომელიც არეგულირებს სახელმწიფო ორგანოს პასუხისმგებლობას.²⁴ სამოქალაქო სამართალში ზიანის ანაზღაურება ნიშნავს პირისთვის მიყენებული ზიანის ტოლფასი კომპენსაციის

²¹ ხ, ყვირაღვილი, დაზარალებულს უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, გამომც: საია, თბილისი, 2016, გვ 37

²² თ, ლალიაშვილი, წარსულის დაძლევის გზები და სამართლებრივი მექანიზმები საქართველოში, გამომც: საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, ჟურნალი ადოკატი N3, თბილისი, 2013. გვ 56

²³ სსს-ს 57 მუხლი

²⁴ ხ, ყვირაღვილი, დაზარალებულს უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, გამომც: საია, თბილისი, 2016, გვ 38

ანაზღაურებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს დელიქტური ვალდებულებების შედეგად წარმოშობილ ზიანის ანაზღაურებას:

პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.²⁵ ზიანის ანაზღაურებისთვის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი დამდგარ შედეგსა და ქმედებას შორის.

აღრე მოქმედი კოდექსი ითვალისწინებდა სამოქალაქო სარჩელით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, მაგრამ ამჟამად მოქმედი კოდექსის მიხედვით პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მხოლოდ სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში.²⁶

აუცილებელია განმტკიცდეს სასამართლო და ადმინისტრაციული მექანიზმები, რომ მსხვერპლმა მიიღოს შესაბამისი კომპენსაცია ოპერატიულად.²⁷ ამავე რეზოლუციის მე-8 მუხლის მიხედვით, მსხვერპლს, რომელსაც ზიანი მიაღდა სახელმწიფო თანამდებობის პირისგან ან სხვა წარმომადგენლისგან ჩადენილი ქმედების შედეგად, უფლება აქვს მოითხოვოს კომპენსაცია სახელმწიფოსგან, ხოლო თანამდებობის პირებმა, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს პასუხი უნდა აგონ მიყენებული ზიანისთვის. ამით გარანტირებულია დაზარალებულისთვის ზიანის ანაზღაურებას ვალდებულება და ასევე ის, რომ აუცილებლად აგებს პასუხს დამნაშავე.

სამწუხაროდ სისხლის სამართლაში განმარტებული არ არის ზიანის ცნება, თუ რა იგულისხმება მიყენებულ ზიანში, მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი ძალზედ მნიშვნელოვანი სისხლის სამართალწარმოებაში. საკასაციო სასამართლო თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტავს მორალურ ზიანს. სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანს შეუძლია არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს ჯანმრთელობის

²⁵ სსკ-ის 992-ე მუხლი

²⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარო, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით გამოქვეყნდა „მერტანი“, თბილისი, 2015 წელი, გვ.319

²⁷ გაეროს გენერალური ასამბლეა, 1985 წლის 29 ნოემბრის რეზოლუცია.

დაზიანებისა და სხეულის დასახრებისთვის. სხვეულის დაზიანებას ასევე მოყვება სულიერი ტანჯვა და ფსიქიკური სტრესი.²⁸

საქართველოს 1998 წლის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებდა სამოქალაქო სარჩელი წარდგენას სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას. დაზარალებულს შეეძლო სამოქალაქო სარჩელით მიემართა სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლისთვის. ცვლილებების შემდგომ ეს წესი შეიცვალა და აღარ ხდება სამოქალაქო სარჩელის წარდგენა სისხლის სამართლის საქმეზე. თუ დაზარალებულს სურს მიყენებული ზიანის ანაზღაურება მან ცალკე სამოქალაქო სარჩელით უნდა მიმართოს სასამართლოს და აღნიშნულ სარჩელს განიხილავს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე.²⁹

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ძველი წესი რა თქმა უნდა საჭიროებდა შეცვლას. ვინაიდან სამოქალაქო სარჩელი მიღება-განხილვა ევალებოდა სისხლის სამართლის მოსამართლეს, როელსაც შესაბამისი კომპეტენცია არ ჰქონდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ამიტომ იყო დიდი რისკი იმისა, რომ სასამართლოს არაკვალიფიციური გადაწყვეტილება მიეღო. მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულს უწევს მეტი დროის რესურსისა და სახსრების ხარჯვა, მისთვის უმჯობესია სამოქალაქო წესით საქმის განხილვა, ვინაიდან სისხლის სამართლის მოსამართლეს არ უწევს სამოქალაქო წესით საქმის განხილვა და ეს მინდობილი უფრო კომპეტენტური პირისთვის.³⁰

²⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 იანვრის N ას-1156-1176-2011 გადაწყვეტილება

²⁹ ხ, ყვირაღაშვილი, დაზარალებულს უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, გამომც: საია, თბილისი, 2016, გვ 39

³⁰ იგივე, გვ 40

2.2 საქმის მასალების გაცნობისა და სისხლის სამართალწარმოების პროცესზე ინფორმაციის მიღების უფლება

დაზარალებულს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაზარალებულის მიერ ინფორმაციის მიღებისა და მასალების გაცნობის თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პროკურორი ან/და გამომძიებელი ხსენებულ ქმედებასთან დაკავშირებით ადგენს ოქმს. ხოლო, თუ დაზარალებულის მოთხოვნის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს, პროკურორი ან/და გამომძიებელი ვალდებულია მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლის აღმოფხვრისთანავე აცნობოს დაზარალებულს ამის შესახებ და, შესაბამისად, მიაწოდოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გააცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალები.³¹ აღნიშნული უფლება დაზარალებულს მიენიჭა 2014 წელს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებების შედეგად. ინფორმაციის მიღების და საქმის მასალების გაცნობის დაზარალებულისთვის აკრძალვა უნდა ემყარებოდეს ობიექტურ გარემოებებს. თუ რა შეუქმნის გამოძიების ინტერესებს საფრთხეს, უნდა იყოს ნათელი და განჭვრეტადი, სხვა შემთხვევაში პროკურორი მარტივად შეზღუდავს დაზარალებულის უფლებების რეალიზაციას. გამოძიების ინტერესები არის დართო ცნება და მრავალი კუთხით შეიძლება მისი ინტერპრეტირება. როდესაც ამ საფუძვლით აუკრძალავენ დაზარალებულს

³¹ სსსკ-ის 57 მუხლი

საკუთარი უფლების გაოცნებას, შესაბამისმა თანამდებობის პირმა უნდა აუხსნას კონკრეტული საფუძველი, თუ რამ გამოიწვია მისი უფლების შეძღვევა. მაგალითად , შესაძლოა დაზარალებულს სურს საქმის მასალების გაცნობის შემდგომ, მიღებული ინფორმაცია გააუღეროს და საჯარო გახადოს მედია სივრცეში, მაგრამ ამ ქმედებამ შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს გამოძიების პროცესს. ხშირად საქმეზე მიდინარეობს ოფარუ საგამოძიებო მოქმედებები, ამ ყველაფრის გაუღერებამ კი შესაძლოა ჩაშალოს მიმდინარე ოპერაციები.³²

არსებული კანონმდებლობის მიხედვით დაზარალებულს აქვს მხოლოდ მასალების გაცნობის უფლება, მას არ შეუძლია გადაიღოს მათი ასლები. ერთის მხრივ ეს მართალია, დაცულია მესამე პირების პერსონალური მონაცემები და ინიშუმამდებლად ყვანილი რაიმე სახის ხელის შეშლა გამოძიების პროცესში, მაგრამე მეორეს მხრივ თუ მასალების გაცნობის უფლება აქვს დაზარალებულს და ეს არ უქმნის საფრთხე გამოძიებას, გაუაგებარია რატომ არ აქვს დაზარალებულს ასლების გადაღების უფლება.³³ ასევე აღნიშნული შეზღუდვა აბრკოლებს დაზარალებულმა განახორციელოს მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება. მაგ: მას არ ეძლევა შესაძლებლობა საკმარისი დოკუმენტაცია წარადგინოს ალტერნატიულ ექსპერტიზაზე, რომელიც მისი ინიციატივით ინიშნება.

დაზარალებულს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე პროცესის მწარმოებელი პირების მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების, ცალკეული საპროცესო მოქმედებების განხორციელების თაობაზე. სისხლის სამართალწარმოების შესახე იფორმაციის მიღება ერთის მხრივ წარმოადგენს

³² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარო, 2015 წლის 1 ოქტომბრის მფორებით გამოქცემლბა „მერტანი“, თბილსი, 2015 წელ

³³ დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოში არსებული კანონმდებლობა, პრაქტიკა და საერთაშორისო მიდგომები“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია , თბილსი, 2016 წელი, გვ.16

დაზარალებულის პერსონალურ უფლებას, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფო ორგანოებზე გარკვეულ კონტროლს.³⁴

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციების მიხედვით, დაზარალებული სახელმწიფოს მხრიდან ინფორმირებული უნდა იყოს საქმესთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ, რომელიც საჭიროა მისი უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის. კერძოდ დაზარალებულს უნდა მიენიჭოს ინფორმაცია: სისხლის სამართლის საქმის განხილვის და მიმდინარეობის შესახებ, მის მიერ წარდგენილ საჩივრებთან დაკავშირებით და ასევე კომპეტენტური სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების და სასჯელის შესახებ.³⁵

2012/29/EU დირექტივის მე-3 მუხლის თანახმად, ყველა სახელმწიფო ორგანო, რომელიც სისხლის სამართლის პროცესში ურთიერთობას ამყარებს დანაშაულის მსხვერპლთან, ვალდებულია მას ინფორმაცია მიაწოდოს მისთვის გასაგები ფორმით, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს მსხვერპლის ასაკი, სქესი, შეზღუდულობა, მოწყობილობა, ენის ცოდნის დონე დაწერა-კითხვის უნარები. ამასთან, მსხვერპლს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ საკუთარი ნათქვამი თუ ქმედებები სხვებსაც გააგებინოს, მაგალითად, თუ დანაშაულის მსხვერპლი ყრუ არის, მაშინ მას უნდა მოემსახუროს თარჯიმანი, რომელსაც ესმის ყრუ-მუნჯთა ნიშნები. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოებს ინფორმაციის მიწოდება ევალებათ, როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით, რომელიც უნდა იყოს გასაგები დაზარალებულისთვის. მოცემულ ნაწილში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება დირექტივის სტანდარტებს. დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ შეიცავს უფლებების –

³⁴დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოში არსებული კანონმდებლობა, პრაქტიკა და საერთაშორისო მიდგომები, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2016 წელი, გვ.25

³⁵COUNCIL OF EUROPE COMMITTEE OF MINISTERS, Recommendation Rec (2006)8 of the Committee of ministers to member states on assistance to crime victims (Adopted by the Committee of Ministers on 14 June 2006 at the 967th meeting of the Ministers' Deputies), § 6.1.

„გესმოდეს და გააგებინო“-ს შინაარსის მქონე ნორმას. თარჯიმნის მომსახურების კუთხით, აღსანიშნავია სსსკ-ის 49-ემუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით მოწმეს, რომელმაც არ იცის პროცესის ენა, შეუძლია ჩვენება მისცეს მისთვის გასაგებ ენაზე და სახელმწიფოს ხარჯზე ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით. თუმცა, მოცემული ნორმა პრობლემურია იმ კუთხით, რომ იგი ვრცელდება მხოლოდ სასამართლო საქმის განხილვის ეტაპზე და არ მოიცავს გამოძიების ეტაპს.³⁶

2.3 პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება

2010 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის უფლება გააჩნია მხოლოდ პროკურატურას. 1998 წლის კოდექსიდან გასხვავებით, დაზარალებული აღარ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტს. დაზარალებულს მხოლოდ უფლება აქვს გაასაჩივროს პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაშიც არის გარკვეული სახის შეზღუდვები.³⁷

თანამედროვე დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოში დანაშაულის ჩამდენი პირის დასჯა მხოლოდ სახელმწიფოს უფლებაა, ამიტომ დაზარალებულის ინტერესი – თავად განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა და პიროვნების დასჯა, არ შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნეს. ვინაიდან, დანაშაულით ირღვევა საჯარო წესრიგი, სისხლის სამართლის პროცესიც მიმართულია იქითკენ, რომ მოაგვაროს კონფლიქტი, პირველ რიგში, სავარაუდო დამნაშავესა და საზოგადოებას შორის. ამიტომაც, დაზარალებული სისხლის სამართლის პროცესში მთავარ როლს არ ასრულებს. თანამედროვე კრიმინალური პოლიტიკის მიზანია, განდევნოს პირადი

³⁶ხ, თანდილაშვილი, „სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებები ევროპული და ქართული კანონმდებლობის მიხედვით“, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი www.dgstz.de, გვ.3

³⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გამომცემლობა „მერდიანი“, თბილისი, 2015 წელი

ანგარიშსწორება და შექმნას ისეთი მართლმსაჯულება, რომელიც პასუხს აგებს საზოგადოების წინაშე და მიმართული იქნება დამნაშავე პირის რესოციალიზაციისა და მის კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბებაზე. გადანყვეტილება იმის თაობაზე, უნდა დაისაჯოს თუ არა დანაშაულის ჩამდენი და რა ფორმით უნდა აგოს მან პასუხი, უნდა მიიღოს არა დაზარალებულმა, არამედ ამისათვის შექმნილმა ლეგიტიმურმა სახელმწიფო ორგანოებმა.³⁸

სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას პროკურორი ხელმძღვანელობას მიზანშეწონილობის პრინციპის მიხედვით, მაგრამ მაინც არ გამოირიცხება მისი მხრიდან სუბიექტურობის საფრთხე, რაც გარკვეულწილად ვლინდება დისკრეციის უფლების განუსაზღვრელობაში.³⁹ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება სისხლისსამართლებრივი დევნის არ დანყების ან შეწყვეტის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა რომ არ არის დამოკიდებული დაზარალებულის პოზიციაზე, მაინც გადის მსხვერპლის მხრიდან გაკრვეულ კონტროლს, ვინაიდან მას აქვს პროკურორის გადანყვეტილების გასაჩივრების უფლება. პროკურორის გადანყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს ზემდგომ პროკურორთან, ხოლო ზემდგომი პროკურორის გადანყვეტილების გასაჩივრება დასაშვებია სასამართლოს მიმართვის გზით. მაგრამ სასამართლოსთვის მიმართვ შესაძლებელია ორ შემთხვევაში - თუ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ან დანაშაული, რომელიც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა. გასაჩივრების უფლება დაყოფილია დანაშაულის სიმძიმის კატეგორიების მიხედვით, ამიტომ ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, შესაძლოა სრულყოფილად არ იყოს დაცული და განხორციელებული დაზარალებულის უფლებები. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მოიცავს სასამართლო განხილვის უფლებას, რომლის შესაბამისადაც პირს უფლება აქვს დარღვეული უფლების

³⁸ გიორგი თუმანიშვილი, დაზარალებული თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში, სამართლის ჟურნალი N2, 2009წ, 75-76

³⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, ავტორთა ჯგუფი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017 წელი, გვ.115-116

აღსადგენად მიმართოს სასამართლოს.⁴⁰ აღნიშნული უფლება ეხება დაზარალებულსაც. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის მხარეში დაზარალებული მხარედ არ გვევლინება, მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს უფლების აღსადგენად. ხელმშემკვრელ სახელმწიფოებს ვვალვართ სამართლალწარმოების იმგვარად განხორციელება, რომ არ დარღვიეს დაზარალებულისა და მონმეების სამართლებრივი ინტერესები.⁴¹

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.⁴² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება ინდივიდის უფლებების და თავისუფლებების დაცვის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური გარანტიაა. ის ინსტრუმენტული უფლებაა, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოადგენს სხვა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალებას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელისუფლების შტოებს შორის შეკავებისა და განონასწორების არქიტექტურის უმნიშვნელოვანეს ნაწილს.⁴³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, გასაჩივრების უფლება ასრულებს პრევენციულ ფუნქციას და, ერთი მხრივ, წარმოადგენს უფლების დაცვის ეფექტურ მექანიზმს და უზრუნველყოფს შესაძლო შეცდომების თავიდან აცილებას, ხოლო, მეორე მხრივ, ქმნის დაშვებული შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობა ამასთან, გასაჩივრების უფლება უზრუნველყოფს პირის განცდის ჩამოყალიბებას, რომ მას სამართლიანად მოექცენ.⁴⁴ კონკრეტული გადაწყვეტილების გასაჩივრება პირს

⁴⁰სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად(მე-6 მუხლი), სახემძღვანელო იურისტებისათვის, 2008წ. გვ.48

⁴¹ Doorson v. Netherlands, N20524/92, 26/03/ 1996

⁴² საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 31

⁴³საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1

⁴⁴საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის №2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-55

შესაძლებლობას აძლევს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს წინაშე კიდევ ერთხელ წარმოადგინოს საკუთარი პოზიციები, დაუპირისპირდეს მოპასუხე მხარეს, რაც ზრდის პირის სანდოობის აღქმას სასამართლო გადაწყვეტილების შედეგისადმი.⁴⁵ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ამ შემთხვევაში ვერ შეიზღუდება ისეთი ლეგიტიმური მიზნით, როგორც არის პროცესის ეკონომიურობა და სასამართლოს გადატვითულობისგან დაცვა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ განუმარტავს, რომ თუ კი არ იქნება უფლების დარღვევის თავიდან აცილების ან დარღვეული უფლების აღდგენის შესაძლებლობა, სამართლებრივი ბერკეტი, თავად უფლებით სარგებლობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ.⁴⁶ დაზარალებულის ინტერესია, მის მიმართ ჩადენილი სავარაუდო დანაშაული იქნეს გამოძიებული, რეალური დამნაშავე იდენტიფიცირებული, დანაშაული სწორად დაკვალიფიცირებული და, საბოლოოდ, საქმეზე სამართლიანი გადაწყვეტილება იქნეს მიღებული. ეს, ერთი მხრივ, ხელს უწყობს კონკრეტული დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ეფექტურ, ადეკვატურ ანაზღაურებას, ხოლო, მეორე მხრივ, სამართლიანობის განცდის დაკმაყოფილებას იმ გაგებით, რომ მის მიმართ ჩადენილი დანაშაული არ დარჩება რეაგირების გარეშე, რომ სახელმწიფო არ არის გულგრილი და ინდიფერენტული მისი პრობლემის მიმართ და რომ სწორედ სახელმწიფო წარმოადგენს გარანტიას მისი ინტერესების დაცვისთვის და უფლებების დარღვევის პრევენციისთვის. ადამიანს არ უნდა დარჩეს დაუცველობის განცდა ან შეგრძნება, რომ სახელმწიფო არ არის მონდომებული, მოტივირებული და ეფექტური ადამიანის უფლებების დაცვისა და უფლებების დარღვევის თავიდან აცილების უმთავრესი ფუნქციის შესრულებისას.⁴⁷ დიფერენცირებული მიდგომა გამოწვეულია დანაშაულის კატეგორიებით. პირს მხოლოდ იმიტომ ერთმევა სასამართლოსთვის მიმართვისუფლება, რომ მის წინააღმდეგ ჩადენილია ნაკლებად მძიმე ან მძიმე

⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის №2/1/598 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ კანდელაკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-45

⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის №3/1/466 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-14

⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/8/594 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10

კატეგორიის დანაშაული. მოცემულ შემთხვევაში პირის ინტერესი, რომ დიფერენცირებულად არ წაერთვას სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობა. უფლების შეზღუდვის ზემოაღნიშნული ლეგიტიმური მიზანი, როგორცაა სასამართლოს გადატვირთულობისგან დაცვა ვერ დააკმაყოფილებს უფლების შეზღუდვის თანაზომიერების პრინციპს, რადგან არანაკლებ მნიშვნელოვანია, თანასწორობის უფლებიდან გამომდინარე, პირი დაცული იყოს ამგვარ სფეროში დიფერენცირებისგან და სხვა არსებითად თანასწორ პირთა ჯგუფების მსგავსად მიუწვდებოდეს ხელი კანონიერი უფლებების დაცვის ეფექტურ სამართლებრივ საშუალებებზე. სასამართლო კონტროლი არის ყველაზე ძლიერი და ეფექტური გზა, პროკურორი აიძულოს, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას იყოს მიუკერძოებელი.⁴⁸ ევროპის კავშირის 2012/29/EU დირექტივის მე-11 მუხლის მიხედვით, თუ პროკურორის შეწყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას, დაზარალებულს უნდა ჰქონდეს პროკურორის გადანაცვების გადახედვის მოთხოვნის უფლება. მართალია დირექტივის თანახმად, პროცედურული საკითხების მონესრიგება სახელმწიფოს ავტონომიას წარმოადგენს, მაგრამ აღნიშნულია, რომ ამგვარი პროცესი უნდა იყოს ნათელი და გამჭვირვალე.⁴⁹

შეიძლება ითქვას, რომ გასაჩივრების უფლების შეზღუდვა დაზარალებულისთვის ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლოს და თანასწორობის უფლებებს. სასამართლო კონტროლი იქნება გარანტი, რომ პროკურორი მიიღებს მიუკერძოებელ და სამართლიან გადაწყვეტილებას.⁵⁰

⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/8/594 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. II-50

⁴⁹ Directive 2012/29/EU of the European Parliament and the Council of 25 October 2012 establishing minimum standards on the rights, support and protection of victims of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA.

⁵⁰ Salikhov v. Russia, N 23880/05, 03/03/201, §102-103

2.4 მტკიცებულებების წარდგენის უფლება

1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, დაზარალებულს უფლება ჰქონდა დაეყენებინა შუამდგომლობა - მტკიცებულებების გამოთხოვის, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების, სისხლის სამართლის საქმის გარემოების შემოწმებისა და სხვა საკითხების შესახებ, რომელიც სისხლის სამართლის პროცესში წამოიჭრებოდა. ასევე დაზარალებული უფლებამოსილი იყო, თავისი ინიციატივით, წარმოედგინა მტკიცებულება. ამ პროცესში დაზარალებული როგორც ბრალდებისა და დაცვის მხარე წარმოადგენდა მხარეს სისხლის სამართლის პროცესში და ჰქონდა ფართო უფლებები.⁵¹

მოქმედი კანონმდებლობით კი დაზარალებულის უფლებები მინიმუმამდეა დაყვანილი; დაზარალებული აღარაა პროცესის აქტიური მხარე და შესაბამისად, მას არც მტკიცებულების წარდგენისა და არც მისი გამოკვლევის უფლება აღარ აქვს. სისხლის

⁵¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლს 69

სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით მხოლოდ პროცესის მონაწილე მხარეს აქვს უფლება, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით წარმოადგინოს და გამოიკვლიოს მტკიცებულება.⁵²

დაზარალებულისათვის აღნიშნული უფლების არარსებობა წარმოადგენს დიდ პრობლემას, ვინაიდან, მას არ აქვს საშუალება, იბრძოლოს სამართლიანობისთვის, იგი მთლიანად დამოკიდებულია ბრალდების მხარის კეთილსინდისიერებაზე. დაზარალებულს უნდა ჰქონდეს მტკიცებულების წარდგენის უფლება ან როგორც მინიმუმ მტკიცებულების მოპოვების შესახებ შუამდგომლობის დაყენების უფლება. ხშირია შემთხვევები, როდესაც ძალადობრივი დანაშაულების შედეგად, ჭიანურდება როგორც დაზარალებულად ცნობის, ასევე დაზარალებულის სამედიცინო მდგომარეობის შესახებ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის გაცემა. ამ დროის განმავლობაში დაზარალებულის ფიზიკური მდგომარეობა უმჯობესდება, იმასთან შედარებით, ვიდრე დანაშაულის ჩადენისას ჰქონდა. ასეთ შემთხვევაში თავად დაზარალებულის მიერ ჩატარებულ ექსპერტიზას ძალა არ აქვს ვინაიდან არ არის უფლებამოსილი პირის, ანუ პროცესის მხარის მიერ მოპოვებული. ასევე არის ხშირი შემთხვევები, როდესაც დაზარალებული არ ეთანხმება ექსპერტიზის დასკვნას და თვლის, რომ მას გაცილებით უფრო დიდი ზიანი მიადგა ვიდრე ეს დასკვნაშია მითითებული. ასეთ შემთხვევაში დაზარალებულის უნდა ჰქონდეს უფლება იშუამდგომლოს ბრალდების მხარესთან, რომ დაინიშნოს ალტერნატიული სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის დასკვნაც პირდაპირ დაერთდება საქმეს.⁵³

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც საგამოძიებო ორგანოში შედის დაზარალებულის განცხადება, რომელსაც თან ახლავს დანაშაულის ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ამ ხსენებული დოკუმენტაციის დამაგრება საქმეზე ხდება მხოლოდ დათვალისფერების შედეგად, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას

⁵² იგივე, მუხლი 9

⁵³ მ. მამნიაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, (ზოგად ნაწილ), გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2013.

მტკიცებულებითი ძალა არ აქვს, რაც დროში აჭიანურებს პროცესს. ასევე, დაზარალებულები ხშირ შემთხვევებში წარადგენენ დანაშაულის დამადასტურებელ დოკუმენტებს ასლის სახით. ასეთ შემთხვევაში, აუცილებელია პროკურორის შუამდგომლობის შედეგად მიღებული სასამართლო განჩინების საფუძველზე მოხდეს შესაბამისი დოკუმენტების დედნების ამოღება დაზარალებულისგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ დოკუმენტაციას მტკიცებულებითი ძალა არ ექნება.

თუ დაზარალებულს მიაჩნია, რომ მას მიადგა უფრო მძიმე ზიანი ვიდრე ეს დასკვნაშია წარდგენილი, მას არ აქვს ბერკეტი, დაიცვას თავისი ინტერესი, განსხვავებით ბრალდებულისაგან. ამ უკანასკნელს შეუძლია დაიქირაოს ადვოკატი, მოითხოვოს ექსპერტიზის დანიშვნა და ა.შ. დაზარალებული კი მთხლიანად პროკურორის ნებაზეა დამოკიდებული. ზემოხსენებული უფლებები დაზარალებულთან მიმართებით პრაქტიკაშიც ხშირად ირღვევა ასე მაგალითად; სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიურო დასკვნების გაცემას ხშირად 1 წლითაც აჭიანურებს, ამასობაში კი, პაციენტის მდგომარეობის ამსახველი სურათი იცვლება.

რეალურია იმის თქმა, რომ უკლებლივ ყველა დაზარალებულს არ აქვს ის მინიმალური სამართლებრივი ცოდნა, რითაც შეძლებს შეათვასოს რელევანტურია თუ არა მტკიცებულება საქმისთვის. ამიტომ, თუ მას ექნება მტკიცებულების წარდგენის ან შუამდგომლობის დაყენების უფლება ბრალდების მხარესთან, ბრალდების მხარესაც უნდა ჰქონდეს უფლება შეათვასოს დაზარალებულის მიერ წარდგენილი მტკიცებულება და საქმისადმი რელევანტურობით გადაწყვიტოს, არის თუ არა აუცილებელი მისი დართვა სისხლის სამართლის საქმეზე. ამასთან, თუკი დაზარალებულს ექნება მტკიცებულების წარდგენის ან მტკიცებულების მოპოვების შესახებ შუამდგომლობის დაყენების უფლება, მას უნდა ჰქონდეს ამ უფლების რეალიზაციაზე უარის თქმის გასაჩივრების უფლებაც. ვინაიდან, თუკი არსებობს უფლება, უნდა არსებობდეს მისი დაცვის მექანიზმიც.⁵⁴

⁵⁴ იგივე.

2.5 დაზარალებული როგორც მონმე

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მიხედვით, მონმე შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, რომელიც ფლობს ინფორმაციას სისხლის სამართლის საქმეზე. აღნიშნული ინფორმაცია მონმეს უნდა გააჩნდეს საკუთარი აღქმის საფუძველზე და უნდა ჰქონდეს მისი შესაბამისად გადმოცემის უნარი.⁵⁵ სისხლის სამართლის საქმეზე მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიღება პირდაპირი წყაროსგან. ვინაიდან ასეთი პირისგან მიღებული ინფორმაცია ასახავს რეალობას მაქსიმალური სიზუსტით. ამიტომ არის აუცილებელი ინფორმაციის მიღება „დაზარალებლი“ მონმისგან, რომელიც უშუალო შემსწრეა ჩადენილი დანაშაულის.⁵⁶

სისხლის სამართლის პროცესში მონმედ აღიარებისთვის ორი აუცილებელი პირობა არსებობს: შინაარსობრივი და ფორმალური. შინაარსობრივი მხარე გულისხმობს, რომ მონმემ უშუალოდ დაინახა, შეესწრო, მოისმინა ან სხვაგვარად გაიგო დანაშაული და მის მიერ მიცემული ჩვენება ხელს შეუწყობს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას. ხოლო ფორმალური პირობაში იგულისხმება პირის მიერ მონმის სტატუსის მიღება, რის შემდეგაც მას აფრთხილებენ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე.⁵⁷

დანაშაულის მსხვერპლს აქვს მუდმივი შიში დამნაშავესთან შეხვედრის. ამიტომ დაზარალებულის დაკითხვისას აუცილებელი პროცესზე აე იმყოფებოდეს დამნაშავე, რადგან არ მოხდეს დაზარალებულის და დამნაშავის ერთმანეთთან დაპირისპირება. აუცილებელია დაზარალებულის ინტერესების დაცვა პროცესის ნებისმიერ ეტაპზე, რადგან

⁵⁵ თ. ლალიკაშვილი, სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2015. გვ. 293

⁵⁶ ჯ. გახოკიძე, და სხვა, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2013. გვ. 178

⁵⁷ იგივე, გვ. 179

მან ყოველგვარი სტრესის გარეშე და ხელახალი ვიქტიმიზაციისან თავის აიღებით შეძლოს სასამართლოში კითხვებზე პასუხების გაცემა.⁵⁸

ამდენად დაზარალებულის ვალდებულებაა საქმეზე გამოვიდეს როგორც მონმე, თუმცა სისხლის სამართლის კანონმდებლობით ანასხვავებენ მონმის ორი სახის ვალდებულებას: ჩვენება მისცეს წინასწარი გამოძიების ეტაპზე და ჩვენება მისცეს სასამართლოში. რაც შეეხება გამოძიების ეტაპზე ჩვენების მიცემას, ამ შემთხვევაში დაზარალებული მონმის მიმართ მოქმედებს 1998 წლის 20 თებერვლის კოდექსით დადგენილი წესი, რომ ზოგიერთ სახის დანაშაულთა საქმეებზე მონმეს აკისრია ვალდებულება საგამოძიებო ორგანოში მისცეს ჩვენება. მეორე დაკითხვის წესის მიხედვით დაზარალებული მონმე უნდა წარსდგეს სასამართლოში წინაშე და უნდა მისცეს ჩვენება⁵⁹.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს დაზარალებულის როგორც მონმის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სისხლის სამართლის პროცესში არსებული შესაძლებლობები. კერძოდ საუბარია მონმის დაკითხვის შესაძლებლობაზე იმავე სასამართლოდან ან სხვა სასამართლოდან⁶⁰, ასევე დაზარალებულს უფლება აქვს მიმართოს ბრალდების მხარეს, რომ იშუამდგომლონ პროცესის ნაწილობრივ ან მთლიანად დახურვაზე, თუ საფრთხე ექმნება დაზარალებულის უფლებებსა და ინტერესებს.⁶¹

დაზარალებულის რამდენჯერმე გამოცხადება სასამართლოში ჩვენების მისაცემად ინვესტს პიროვნებაში ფსიქოლოგიურ პრობლემებს, აღნიშნულის ნათელი მაგალითია პირის პოსტტრამეული პრობლემები, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს დანაშაულის ან უბედური შთხვევის შედეგად გაკრვეული პერიოდის გასვლის შემდეგ.⁶² დაზარალებულის მონმის დაკითხვა რამდენჯერმე, განსაკუთრებით სექსუალური და ძალადობრივი

⁵⁸ მ. შალიკაშვილი, ვიქტიმოლოგია-მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011. გვ 130

⁵⁹ ჯ. გახოკიძე, და სხვა, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2013. გვ. 181

⁶⁰ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლი 243, ნაწილი 3.

⁶¹ იგივე, მუხლის 57. ნაწილი 1, ქვეპუნქტი „დ“

⁶² Shneider, H.J. 1999, 127-129 Die gegenwärtige Situation des Verbrechensofners, Fortschritte und Probleme der Viktimologie-Forschung. OJZ. S121. Pg. 127

დანაშაულის საქმეებზე იქვევს მასში ფსიქოლოგიურ პრობლემებს, ამიტომ პრევენციის მიზნით აუცილებელია მისი დაკითხვა მოხდეს მოკლე ინტენსივობით და მინიმალური ოდენობით. ⁶³ აქედან გამომდინარე, პრაქტიკაში მოსამართლეებმა, პროკურორებმა, გამომძიებლებმა, ადვოკატებმა უნდა შეიმუშაონ საერთო სტანდარტი რომ დაზარალებულად მყოფ პირს არ განუახლონ მიყენებული ტკივილი და არ მიაყენონ ფსიქოლოგიური ზიანი. დაზარალებული მწომის განსაზღვრებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ იხელმძღვანელა ევროპის კავშირის 2012/29/EU დირექტივით „დაზარალებულთა უფლებების მინიმალური სტანდარტებით“ ასევე ევროსაბჭოს რეკომენდაციებით სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით და დაადგინა რომ დაზარალებული ე.წ. „უბრალო“ მონმე არ არის საქმეში, არამედ მას აქვს მონმისგან განსხვავებით მთელი რიგი საპროცესო უფლებები როგორებიცაა: ინფორმაციის მიღების, პირადი ცხოვრების და უსაფრთხოების დაცვის უფლება, წარადგინოს მოსაზრებები სასამართლოში და ასევე, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შემთხვევაში, დაზარალებულის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება. რაშიც არ შედის განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება.⁶⁴

2.5.1 „დაზარალებული“ მონმის ვალდებულება თქვას მხოლოდ სიმართლე

დაზარალებულს ენიჭება მონმის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა ვალდებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე დაზარალებულს მონმის მსგავსად ჩვენების მიცემისას მოეთხოვება სიმართლის თქმა სასამართლოს წინაშე. ⁶⁵ წინააღმდეგ შემთხვევაში დაზარალებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემისათვის პასუხიმგებლობა დაეკისრება სისხლის სამართლის წესით. ცრუ ჩვენების მიცემისათვის დაზარალებულის

⁶³ მ, შალიკაშვილი, ვიქტიმოლოგია-მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011. გვ. 128

⁶⁴ ხ. შუბითიძე. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ 2016წ 10.30 #1/8/594

⁶⁵ ო. ჯორჯენაძე, რამდენიმე მოსაზრება ცრუ ჩვენების, ცრუ დასმენისა და მონმის ან დაზარალებულს მიერ არჩეული დურთქისა წინააღმდეგო ჩვენებების მიცემის თაობაზე, გამომცემლობა მარტაჯულება და კანონი. №1, თბილისი, 2015. გვ. 9

მიმართ სისხლისამართლებრივი დევნა შეიძლება დაიწყოს მხოლოდ განაჩენის ან სხვა სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.⁶⁶ პრაქტიკაში არსებულმა არაერთმა შემთხვევამ ცხადყო რომ აღნიშნული საკანონმდებლო ჩანაწერი ხარვეზს შეიცავს და მის არსებობას კანონმდებლობაში აზრი არ აქვს, კერძოდ ისეთ საქმეებზე სადაც პირდაპირი მტკიცებულება არ მოიპოვება და მხოლოდ დაზარალებულია ერთადერთი პირდაპირი მონმეა საქმის გარემოებების იგი ხშირად იძლევა ცრუ ჩვენებას ან ამოცნობის დროს ასახელებს ისეთ პირს რომელსაც შესაძლოა დანაშაულში არანაირი შემხებლობა არ ჰქონდეს, ხოლო მოგვიანებით შესაძლოა დაზარალებულმა მონმემ სასამართლოს განუცხადოს რომ იგი არაა დარწმუნებული რომ ეგ პირი რომელსაც მან საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს ხელი დაადო ნამდვილად ის პირია ვინც მის მიმართ ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული. კანონმდებლობის ხარვეზი სწორედ მდგომარეობს იმაში რომ დაზარალებული მონმის რომელი ჩვენაბაა სინამდვილე ვერ ადგენს და იძულებულია გამოიყენოს In Dubioi Pro Reo ყოველგვარი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ წყვეტს. ასეთ საქმეებზე ხშირია პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ან წინასწარ პატიმრობაში მისი დატოვება, რაც გულისხმობს პიროვნების უფლებებში დაუსაბუთებელ და უკანონო ჩარევას. ხოლო თავის მხრივ დაზარალებული მონმის მიმართ არანაირ პასუხიმგებლობის დაკისრებას სისხლისამართლებივ ან სამოქალაქო სამართალწარმოების წესის გამოყენებით.⁶⁷

2.5.2. „დაზარალებული“ მონმის პირადი სფეროს დაცვა პროცესის ფარგლებში

⁶⁶მ. ლმსაძე, სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2016. გვ. 70

⁶⁷ო. ჯორჯენაძე, რამდენიმე მოსაზრება ცრუ ჩვენების, ცრუ დასმენისა და მონმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად უარყოფითად დასაბუთებული ჩვენებების მიცემის თაობაზე, გამომცემლობა მარტლახულება და კანონი. №1, თბილისი, 2015. გვ. 9-10

დზარალებული მონმის სამართლებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე დიდია რისკი შეილახოს მისი ღირსეა ან სხვა სახის უფლებრივი მდგომარეობა. კერძოდ, უფლებების დარღვევა შესაძლოა მოხდეს პროცესზე, როცა დზარალებული იძულებულია რამდეჯერმე უპასუხოს განსასჯელის ან დამცველის კითხვებს ინტიმური ცხოვრების დეტალებზე ან მიანოდოს სხვა სახის ინფორმაცია, რომელიც მას აყენებს ფსიქოლოგიურ ზიანს. ეს მანიშნებელია იმისა, რომ შესაძლოა ხელმეორედ განიცადოს ფსიქიკური ტრამვა. ⁶⁸

ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს კონსტიტუცია განმარტავს, რომ ადამიანის ღირსება წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და მისი რაიმე ფორმით დარღვევა დაუშვებელია. ადამიანის ღირსების დარღვევა მაშინაა სახეზე, როცა მას დევნიან, ამცირებენ. ⁶⁹ საართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გმარტა ადამიანის ღირსება. კერძოდ ადამიანის ღირსება და მისი თავისუფლება ძირითად ფუნდამენტურ უფლებებში გამოიხატება იმით, რომ უფლებები სხვა დანარჩენი უფლებებისგან იმით გასხვავდება, რომ ის წარმოადგენს ადამიანის თანდაყოლილ უფლებას და არა ნაწარმოებ უფლებას. აღნიშნულ უფლებას ადამიანი იძენს დაბადებისთანავე, რის საფძველზეც სახელმწიფო ვალდებული ხდება ადეკვატურად უზრუნველყოს მისი დაცვა და ყველა ადამიანს მისცეს შესაძლებლობა მოახდინონ პიროვნული თავისუფლების თვითრეალიზაცია. ⁷⁰

დზარალებული მონმის დაითხვის პროცესზე, რომელსაც ესწრება ბრალდებული, დაკითხვის წარმოება სავალდებულო, ვარგისი და მიზანშეწონილი უნდა იყოს. დზარალებული მონმის ღირსების დაცვის მიზნით აუცილებელია ზემოთხსენებული

⁶⁸ გ. თუმანიშვილი, დზარალებული თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში, გამომცემლობა სამართლის ურალი N2, თბილისი, 2009. გვ. 66

⁶⁹ ლ. იზორა, დ სხვ, კონსტიტუციის კომენტარო, გამომცემლობა „მეროდანი“, თბილისი, 2005. გვ.84

⁷⁰ ტ. გვეტაძე დ. ჯიმშელიეშვილი დ. ნ. დალალაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქმე #1/2(384)

გარემოებების გათვალისწინება, სხვა შემთხვევაში მივიღებთ დაზარალებულს რომელიც განიცდის ხელახალ ვიქტიმიზაციას და აღგება ფსიქიკური ტრამვა.⁷¹

2.6 დაზარალებულის უფლებები საპროცესო შეთანხმებისას

ბურუსით მოცული იყო პირვანდელი საპროცესო შეთანხმების ნორმატიული სტრუქტურა. საპროცესო შეთანხმების დროს შესაძლებელია იყო სასჯელის ზომის უმდაბლეს ზღვარზე უფრო დაბალი სასჯელის შეფარდება, მნიშვნელობა არ ჰქონდა

⁷¹ მ, შალიკაშვილი, ვიქტიმოლოგია-მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011. გვ. 130

დანაშაულის კატეგორიას. შესაბამისად აღნიშნული ნორმა ნებისმიერი ტიპის და სახის დანაშაულზე დაკანონდა, რაც იქვევდა დაზარალებულის ინტერესებთან კოლიზიას. საპროცესო შეთანხმების გაფორმება შეიძლებოდა როგორც ბრალზე ისე სასჯელზეც, რაც გარკვეულწილად წინააღმდეგობრივი იყო, ანუ ბრალდებულს შესაძლოა დანაშაული არ ელიარებინა და მასთან მაინც მომხდარიყო საპროცესო შეთანხმების გაფორმება. ასევე ერთმანეთში იყო აღრეული ბრალის აღიარება და შეთანხმება ბრალზე, რაც ნამდვილად არ არის იდენტური ცნებები.⁷² ხშირ შემთხვევაში საპროცესო შეთანხმება ფორმდებოდა მაშინ, როცა პირი არ აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს, მაგრამ საპროცესო შეთანხმების გაფორმება მაინც სურდა. ეს დაზარალებულის დამცირების ტოლფასი გახლდათ. ⁷³ დაზარალებულის ინტერესები საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით ირელევანტური იყო. პროკურორს არ აინტერესებდა დაზარალებულის დამოკიდებულება საპროცესო შეთანხმების დროს. დაზარალებულის ერთადერთი საშუალება იყო სამოქალაქო სარჩელით ედავა ზიანის ანაზღაურების კუთხით.⁷⁴

2014 წელს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მთელი რიგირ ცვლილებები შევიდა, რომელიც შეეხო საროცესო შეთანხმებასაც და აბსოლუტურად განსხვავებულია წინამორბედისგან. ⁷⁵

სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმადაც ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და უთანხმდება პროკურორს სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებაზე ან ნაწილობრივ მოხსნაზე. აღნიშნულ მუხლში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილებაა,

⁷² რ.გოგშელიძე, საპროცესო შეთანხმება ყველა კატეგორიის დანაშაულზე?! შურ. “პროფესია ადვოკატი“, თბ.2007, N2, გვ.91

⁷³ სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, ავტორთა ჯგუფი, ჯ. გახოკიძის, მ. მამნიაშვილისა და ი. გაბისონიას რედაქტორობით, თბ.,2012

⁷⁴ გ.ჭანტურიძე, „საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებთან მიმართებაში“, თბ, 2007, გვ. 74

⁷⁵ ვ. დოლიძე, საპროცესო შეთანხმება საქართველოში - გამოწვევები და ტენდეციები, შურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, N-3, თბ., 2018, გვ.52

შესაბამისად ეს ავითარებს სწორ მიდგომას საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით.⁷⁶ დანაშაულის აღიარება არის ფუნდამენტური საფუძველი საპროცესო შეთანხმების გაფორმებისთვის. თუ ბრალდებული არ აღიარებს დანაშაულს მასთან არ გაფორმდება საპროცესო შეთანხმება.⁷⁷

საპროცესო შეთანხმების დადებისას დაზარალებულის ინტერესის გათვალისწინების არანაირი ვალდებულება პირდაპირი გაგებით არ არსებობს და გარკვეულწილად არც ახლა არსებობს, ნახსენები გარემოება კი შესაძლებელია საპროცესო შეთანხმების ნეგატიურ გარემოებად ჩაითვალოს. შეტყობინება, რომ იდება ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმება დაზარალებულისათვის არანაირი სამართლებრივი შედეგის მომტანი არ არის. დაზარალებულის მორალური და ქონებრივი ინტერესების დაკმაყოფილება უკვე სხვა გზით უწევს და ეს სამოქალაქო ტიპის წარმოებაა. საპროცესო შეთანხმების დროს გვყავს პირი, რომელმაც ვერ მიიღო რეალური მხარდაჭერა სამართლიანი სასამართლოს კონტექსტში, ვინაიდან ბრალდებულს უფრო მსუბუქი სასჯელი დაეკისრა ვიდრე იმსახურებდა, ამასთანავე ზიანის ანზღაურების საკითხიც წმინდა სამოქალაქო ტიპის წარმოებას ეკისრება, თავისი სარჩელითა და შესაგებლით. მართალია, სამოქალაქო წარმოებისათვის პრეიდუციული ძალა გააჩნია სისხლის სამართლის განაჩენს, თუმცა იგი ზიანის ოდენობის განსაზღვრისათვის პრეიდუციული ეფექტის მქონე მოცემულობას არ წარმოადგენს.⁷⁸ დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის კუთხით საპროცესო შეთანხმებას არც შემდგომში განუცდია დიდი ცვლილებანი (კონსულტირების წესის დამატებას თუ არ ჩავთვლით), არადა დაზარალებულის ინტერესების დაცვა ერთ-ერთი მიმართულება უნდა იყოს საპროცესო შეთანხმების გაფორმების. სწორედ აღნიშნავს მეცნიერთა ნაწილი, რომ საპროცესო შეთანხმებასთან მიმართებით დაზარალებულს „უფლებაუნარიანობა“ არ გააჩნია, იმ

⁷⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლ 209

⁷⁷ გ. ჭანტურიძე, საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებთან მიმართებაში, თბ., 2007, გვ.57

⁷⁸ გ.მეფარიშვილი, „მკაცრი სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის ქართული ვარიანტის ზოგიერთი ასპექტი“, სამართლის პუბლიცისტიკა თბ., 2014, გვ. 34-36

კუთხით რომ ამ უკანასკნელს მასზე ზემოქმედების არანაირი ბერკეტი არ აქვს.⁷⁹ პროკურორი უფრო დიდი გულისყურით უნდა მოეკიდოს საპროცესო შეთანხმების გამოყენების მიზნობრიობას, ვინაიდან ის გვევლინება როგორც საზოგადოების ინტერესების დამცველი. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა საპროცესო შეთანხმების გამოყენება ნებისმიერი სახის დანაშაულის შემთხვევაში არის შესაძლებელი.⁸⁰ საპროცესო შეთანხმების დადებას სამგვარი მიმართება აქვს დაზარალებულის უფლებრივ მდგომარეობასთან. პირველი ის გახლავთ რომ პროცესის მონაწილე მხარე მას ვერ ასაჩივრებს და ზემოქმედების საკანონმდებლო ბერკეტი არ არსებობს. მეორეს მხრივ საპროცესო შეთანხმება ვერ უზრუნველყოფს დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ქმედითობას და სამართლიანობის აღდგენას, მესამე კი გახლავთ დაზარალებულის თანხმობის არ არსებობა.⁸¹ პირის მიერ დანაშაულის აღიარება და რელევანტური მტკიცებულებების არსებობა არ უნდა იყოს საპროცესო შეთანხმების გაფორმების საფუძველი ზოგიერთი დანაშაულის შემთხვევაში. დაზარალებულის ინტერესებთან შესაძლოა წინააღმდეგობაში მოვიდეთ პროკურორის მხრიდან გაფორმებული საპროცესო შეთანხმება.⁸²

პროკურორის ერთადერთი მოვალეობაა კონსულტაცია გაიაროს დაზარალებულთან, მაგრამ ესეც ფორმალური ხასიათისაა. ის უბრალოდ განუმარტავს დაზარალებულს, რომ აპირებს საპროცესო შეთანხმების გაფორმებას. მხარე რომც იყო ამის წინააღმდეგი ბრალდების მხარეს არანაირი ვალდებულება არ გააჩნია გაითვალისწინოს მსხვერპლის პოზიცია. 2013 წელს შემუშავებულ იქნა კანონპროექტი, რომლის განმარტებითი ბარათი პირდაპირ მიუთითებდა, რომ თუ პროკურორი კონსულტაციის შედეგად დაზარალებულის სამართლიან და კანონიერ ინტერესებს არ გაითვალისწინებდა, ან ამ უკანასკნელისათვის მიყენებული ზიანის თვალსაზრისით

⁷⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ზ. მეიშვილისა, და ო. ჯორბენაძის რედაქტორობით, თბ., 2007, გვ. 940

⁸⁰ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, „საპროცესო შეთანხმება საქართველოში“, თბ, 2012, გვ. 10

⁸¹ რ. გოგშელიძე, სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი), თბ., 2008, გვ. 381

⁸² Mike McCononville & Geoffrey Wilson, The Handbook of The Criminal Justice Process, Oxford university Press, 2002, p.373.

უსამართლო სასჯელს მოითხოვდა საპროცესო შეთანხმებით, დაზარალებულს ამის რაიმე ფორმით გასაჩივრების უფლება არ უნდა ჰქონოდა. ცხადია, ასეთი მიდგომა დაზარალებულის ინტერესების შეზღუდვის გამომწვევი გარემოება არის განსაკუთრებით ძალადობრივი დანაშაულების შემთხვევებში. დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის გაზრდაზე კანონმდებელი განმარტებით ბართშიც უთითებდა თუმცა, რეალურად ნორმატიულ დონეზე მხოლოდ კუნსულტაციის პროცედურის უცვლელად დატოვება დამკვიდრდა, როგორც ადრე იყო და დაზარალებულს დამატებით წერილობითი განმარტების მიცემის შესაძლებლობა მიეცა სასამართლო პროცესზე.⁸³ დაზარალებულთან კონსულტაციის გავლის წესი საკანონმდებლო დონეზე დასახვეწია. უნდა განისაზღვროს რა სამართლებრივი დატვირთვა აქვს კონსულტირებას. ხოლო დაზარალებულის ნეგატიური გავლენა საპროცესო შეთანხმებაზე გარკვეულ ნორმატიულ ჩარჩოებში უნდა მოექცეს. ეს იქნება გარკვეული ბერკეტი პროკურორმა არამიზნობრივად რომ არ გამოიყენოს საპროცესო შეთანხმება.⁸⁴

⁸³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ „განმარტებითი ბარათი“, N- /13, თბ.,2013, § -11 www.info.parliament.ge ბოლოს ნანახია: (20.05.2019)

⁸⁴ საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, ლ. ფაფიაშვილის რედაქტორობით, თბ., 2017, გვ.558

3. დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა აღდგენითი მართლმსაჯულების ფარგლებში

3.1 აღდგენითი მართლმსაჯულების მნიშვნელობა

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში არსებული აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესი დანაშაულის მსხვერპლის დარღვეული უფლებების აღდგენის მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, რადგან სხვა სისხლისსამართლებრივი საშუალებებთან შედარებით, ამ პროცესის დროს არის შესაძლებელი დაზარალებულისათვის ზიანის კომპენსირება და დარღვეული უფლებების აღდგენა. აღდგენითი მართლმსაჯულება ეს არის პროცესი, როცა დაზარალებული და დამნაშავე ხვდებიან ერთმანეთს, რათა ერთად იმსჯელონ დანაშაულის შედეგზე და მის გავლენაზე მომავალში.⁸⁵

დირექტივის მე-12 მუხლი ეხება აღდგენით მართლმსაჯულებას, რომელსაც შეუძლია დაზარალებულს სარგებელი მოუტანოს, მაგრამ ამასთანავე შეიცავს განმეორებითი ვიქტიმიზაციას, შურისძიების რისკებს. ამიტომ სანამ აღდგენითი მართლმსაჯულება იქნება გამოყენებული, გათვალისწინებული უნდა იქნეს დაზარალებულის ინტერესები. ასევე დაზარალებულის მონაწილეობა და გადანაცვლები ნება-სურვილით და ინფორმირებული უნდა იყოს პროცესის დადებით და უარყოფით მხარეებზე.⁸⁶

საქართველოს კანონმდებლობა იცნობს განრიდების და მედიაციის პროცესს, რომელიც ეხება როგორც არასრულწლოვანს, ასევე სრულწლოვანს. სრულწლოვანის შემთხვევაში, პროკურორი უფლებამოსილია ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის

⁸⁵ ნ. გვენეტაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება განრიდება და მედიაცია, გამომცემლობა „უნივერსალ“, თბილისი, 2012. გვ. 145

⁸⁶ European Commission, DG Justice, Guidance Document related to the transposition and implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 establishing minimum standards on the rights, support and protection of victims of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Ref. Ares (2013)3763804 – 19/12/2013, p.13

ჩადენის შემთხვევაში, არ დაინყოს ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა. განრიდების გაფორმებამდე პროკურორია კონსულტაციას გადის დაზარალებულთან, მაგრამ დაზარალებულის აზრს არ აქვს მბოჭავი ძალა ანუ მისი დამოკიდებულება არ აზღვენს გავლენას საბოლოო გადაწყვეტილებაზე.⁸⁷ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული მექანიზმის - განრიდების გამოყენება პროკურორის პრიორიტეტია. განრიდება გამოიყენება მაშინ, როდესაც საქმის გარემოებები და ბრალდებული იძლევა საშუელაბს ლიბერალური მიდგომა იქნეს გამოყენებული.⁸⁸

სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულება ეფუძნება დანაშაულის ჩამდენის დასჯის პრინციპს. აღდგენითი მართლმსაჯულება კი გულისხმობს მსხვერპლსა და დამნაშავეს შორის არსებულ კონფლიქტის გადაჭრას დასჯის მეთოდის გამოყენების გარეშე. აღდგენითი მართლმსაჯულების ფარგლებში, მხარეებს შორის კონფლიქტის მოგვარებაში სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს და მხარეებმა დამოუკიდებლად უნდა შეძლონ აღნიშნულის მოგვარება. სახელმწიფომ ამ დროს არა დამნაშავეს დასჯაზე უნდა იფიქროს, არამედ მხარეებს უნდა მისცეს საშუალება სამართლებრივ ჩარჩოებში გადაწყვიტონ პრობლემა.⁸⁹ აღდგენითი მართლმსაჯულება შეიძლება ითქვას დანაშაულს განიხილავს ადამიანებს შორის არსებული ურთიერთობების ხელყოფად, სისხლისსამართლებრივი ტრადიციული დოგმებისაგან განსხვავებებით, აღდგენითი მართლმსაჯულების მიზანია მხარეებს დაუმკვიდროს სოციალურად თანასწორი ურთიერთობები, სადაც მხარეების უფლებები თანაბრად იქნება დაცული ყოველგვარი არამართლობიერი ჩარევებისაგან, იგი ორიენტირებულია არამართო დანაშაულის ჩამდენზე არამედ დანაშაულის მსხვერპლზეც და ამ უკანასკნელის უფლებების უზრუნველყოფაზეც ზიანის ანაზღაურები ჩათვლით, უნდა ითქვას რომ აღდგენითი მართლმსაჯულება ორიენტირებულია დამდგარი ზიანის აღმოფხვრისკენ, მისი

⁸⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 168

⁸⁸ საქართველოს მთავარ პროკურორის ანგარიში, 2017. გვ. 8

⁸⁹ გ.თუმანიშვილი „აღდგენითი (რესტორაციული) მართლმსაჯულება და მისი განვითარების პერსპექტივა საქართველოში“, სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, სისხლის 72 სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013 წელი

გამოსწორების გზების ძიებისკენ, დაზარალებულისა და დამნაშავეს რეაბილიტაციისკენ, რაც აუცილებელი წინაპირობაა მათი საზოგადოებაში რეინტეგრაციისა და სოციალური ურთიერთობების აღდგენა შენარჩუნების, სისხლისამართლებრივი დევნისგან განსხვავებით რომლის ძირითადი მიზანია დანაშაულის ჩამდენი პირის გამოვლენა და მისთვის სასჯელის შეფარდება სხვა უფრო მსუბუქი ალტერნატივის გამოყენების გარეშე.⁹⁰

3.2 დაზარალებული მედიაციის პროცესში

მედიაცია ხელს უწყობს მხარეებს შორის მოლაპარაკებას და ურთიერთშეთანხმებას. მოლაპარაკება მიმდინარეობს პროფესიონალი მედიატორის თანხლებით. მედიაცია ეფუძნება მხარეთა თავისუფალ ნებას, მედიაოტირ გადანყვეტილების მიღების ნაწილში ნაკლებად არის ჩრთული, ის მხოლოდ უზრუნველყოფს მხარეებს შორის მოლაპარაკებების სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევას. ეს პროცესი თავის მხრივ, ეხმარება დამზარალებელს, გააცნობიეროს მის მიერ ჩადენილი ქმედების რეალური შედეგები და აილოს პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე, მათ შორის, დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. მედიაციის საერთო შეხვედრაზე განიხილება უშუალოდ დანაშაულის შემთხვევა და შეხვედრის მონაწილისათვის არ შეიძლება მიუღებელი იყოს შეხვედრის მონაწილე, მიუღებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ჩადენილი ქმედება.⁹¹

⁹⁰ იგივე.

⁹¹ გ. ცერცვაძე, მედიაცია დვის გადანყვეტის ალტერნატიულ ფორმა ზოგად ნაწილ, გამომცემლობა „მერტანი“, თბილისი, 2010. გვ. 34-37

3.3 მედიაციისა და სასჯელის ურთიერთმიმართება

სისხლისსამართლებრივი დასჯის მეთოდისგან განსხვავებით მედიაცია რადიკალურად განსხვავდება, რადგან პირის დასჯა ეს არის საელმწიფოს ცალმხრივი რეაქცია დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით. ხოლო მედიაცია განიხილება როგორც მხარეებს შორის არსებული კონსენსუსი, სადაც მხარეები თანხმდებიან გარკვეულ პირობებზე. მიუხედავად იმისა, ეს ორი ინსტიტუტი არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან, არსებობს შეხედულება იმის შესახებ, რომ მედიაციით და სასჯელის შეფარდებით ერთი და იგივე შედეგი დგება რესოციალიზაციის კუთხით. ამის დასამტკიცებლად უნდა განიხილოს მედიაცია და სასჯელის მიზნები.⁹²

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მიედვით, სასჯელის მიზნებია: სამართლიანობის აღდგენა, დამნაშავის რესოციალიზაცია, დანაშაულის პრევენცია. სასჯელის აბსოლუტური თეორია მიზნად ისახავს სამართლიანობის აღდგენას, ხოლო პრევენციული თეორია დანაშაულის თავიდან აცილებას მოიაზრებს თავის თავში.⁹³

ამასთანავე, ნეგატიური პრევენციის თეორიის მიხედვით, საზოგადოება დაცული უნდა იყოს პოტენციური დამნაშავისგან მისი სრული იზოლაციით, ხოლო პოზიტიური პრევენციის თეორია პირიქით, ხელს უწყობს დამნაშავისთვის სხვა ალტერნატიული ღონისძიების დაკისრებას მძიმე სასჯელის გამოყენებასთან შედარებით. არსებობს ზოგადი პრევენციის თეორიაც, რომელიც ორ ასპექტს ავითარებს ერთდროულად - ნეგატიურ და პოზიტიურ ღონისძიებებს. ნეგატიურის მიზანია შემდგომში დანაშაულის პრევენცია ანუ საზოგადოება გარკვეულ შიშს განიცდის, რომ შემდგომში დანაშაულთა რაოდენობა

⁹² ი, ლალოძე, სასჯელ და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, გამომცემლობა „მერტანი“, 2013, გვ.12

⁹³ იგივე, გვ.16

შემცირდეს. პოზიტიური მიდგომით, სასჯელის გამოყენება დადებითად მოქმედებს საზოგადოებაში, ვინაიდან სამართლის მიმართ პატივისცემა იზრდება.⁹⁴

დღესდღეობით მედიაციას იყენებენ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დანაშაულების საქმეებზე. რადგან დაზარალებული სრულად იყოს ჩართული პროცესში და მას ჰქონდეს ნდობა სამართალდამცავი ორგანოების მიმართ. მედიაციის პროცესში მხარეები ერთობლივად აწესრიგებენ პრობლემურ საკითხებს. ნეგატიური პრევენციის შემთხვევაში დაზარალებულის უფლებები ნაკლებად არის გავთვალისწინებული.⁹⁵

როგორც აღვნიშნე, განდრიდება/მედიაცია არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ალტერნატიული ღონისძიება, სადაც მხარეები ურთიერთშეთანხმებით აღწევენ კონსენსუსს, სადაც დაბალანსებულია ორივე მხარის უფლებები და მოთხოვნები. აღნიშნულის ფარგლებში შესაძლებელია მოხდეს დაზარალებულის კომპენსირება, დანაშაულის დასჯა სასჯელისგან, რომელიც შესაძლოა არაჰუმანური იყოს კონკრეტული გარემოებების ფარგლებში. შესაძლებელია ითქვას, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ გზას აქვს დადებითი მხარეები, რომლებიც პოზიტიურად აისახება მონაწილე მხარეების უფლებების აღდგენის ნაწილში.

⁹⁴ მ. ტურავა, სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპულ განვითარების პროცესში, გამოქვეყნდა „მერტანი“, თბილისი, 2013. გვ.355-356

⁹⁵ ი. ცხაღძე, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, გამოქვეყნდა „მერტანი“, 2013

4. დაზარალებული სხვა ქვეყნების სამართალში (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)

საერთაშორისო სტანდარტებით დაზარალებულები სარგებლობენ გარკვეული უფლებებით სისხლის სამართალწარმოებაში, მათ შორისაა ღირსების პატივისცემა და შეშლებისდაგვარად ჩართულნი არიან გამოძიების მიმდინარეობის პროცესში.⁹⁶ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის რეზოლუციის მიხედვით, „მსხვერპლი/დაზარალებული“ ნიშნავს პირს, რომელსაც მიადგა ზიანი, მათ შორის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური, ამოციური ტანჯვა ან ეკონომიკური ზარალი. ასევე დანაშაულის მსხვერპლად ითვლება ის პირი, რომლის ფუნდამენტური უფლებების არსებით დარღვევას ჰქონდა ადგილი, რაც გამოწვეულია მოქმედებით ან უმოქმედობით.⁹⁷

ევროკავშირის 2012 წლია დირექტივა „დაზარალებულის უფლებების შესახებ“ განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს დანაშაულის მსხვერპლის სამართალსუბიექტზე. თუ მსხვერპლი არის არასრულწლოვანი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი. ტერორისტული დანაშაულის შედეგად დაზარალებული ან ოჯახში ძალადობის მსხვერპლი სახელმწიფო ხლისუფლების მხრიდან უნდა იყვნენ უზრუნველყოფილები, რომ მათი უფლებები დაცული იქნება ჯეროვნად და ხარისხიანად.

98

⁹⁶Hugh Jordan v the United Kingdom, ECtHR judgment of 4 May 2001, appl. no. 24746/94, §109.

⁹⁷ Declaration of General Assembly of United Nations about Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power, 29 November 1985,

§ 1. დანაშაულის მსხვერპლის ცნება ანალოგიურად განიმარტება ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის 2012/29/

EU დირექტივის მიზნებისათვის

⁹⁸DIRECTIVE 2012/29/EU OF THE EUROPIAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 25 October 2012,

establishing minimum standards on

the right, support and protection of victims of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, § 14-18

4.1 დაზარალებულის უფლებები პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში

სისხლის სამართალწარმოების პროცესში ორი რამ უნდა დაბალანსდეს - ერთის მხრივ, სახელმწიფოს ინტერესი განხორციელდეს სწრაფი მართლმსაჯულება და მეორე მხრივ, დაზარალებულის უფლებები და კანონიერი ინტერესი. ეს ორი ინტერესთა სფერო განსაკუთრებით მაშინ უპირისპირდება ერთმანეთს, როცა ბრალდების მხარე არ იწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას ან დაწყებულ დევნას შეწყვეტს. სამართლიანი ბალანსის მიღწევისთვის, აუცილებელია დაზარალებული სარგებლობდეს კანონიერი ინტერესების დაცვის საშუალებით. ამისათვის დაზარალებულს უნდა ჰქონდეს უფლება გაასაჩივროს ბრალმდებელის გადაწყვეტილება. გასაჩივრება შესაძლებელი უნდა იყოს როგორც იერარქიულად მასზე მაღლა მდგომ თანამდებობის პირთან, ასევე სასამართლოს გზით.⁹⁹ ევროკავშირის 2012 წლის დირექტივის მიხედვით, წევრ სახელმწიფოებს გაეწიათ რეკომენდაცია, რომ დაზარალებულებს ჰქონდეთ უფლება გაასაჩივროს ბრალდების ხარის გადაწყვეტილება. გასაჩივრების პროცედურული ასპექტები უნდა იყოს ნაელი და ნალებად ბიუროკრატიული, რათა დაზარალებულმა ამ უფლებით იურიდიული წარმომადგენლის გარეშე ისარგებლოს.¹⁰⁰ დაზარალებულის საჩივარი უნდა განიხილოს უფლებამოსილმა ორგანომ ან პირმა, მაგრამ მას არ უნდა ჰქონდეს თავდაპირველ

⁹⁹THE ROLE OF PUBLIC PROSECUTION IN THE CRIMINAL JUSTICE SYSTEM, Recommendation Rec (2000)19, Adopted by the committee

of ministers of the council of Europe on 6 October 2000, § 34. მსგავსი გარანტიების არსებობის აუცილებლობაზე მიუთითებს, აგრეთვე:

Recommendation №R 85 (11) OF COUNCIL OF EUROPE COMMITTEE OF MINISTERS OF THE COMMITTEE TO MEMBER STATES ON THE

POSITION OF THE VICTIM IN THE FRAMEWORK OF CRIMINAL LAW AND PROCEDURE, adopted by the Committee of ministers on 28 June

1985 at the 387th meeting of the Ministers' Deputies, § B (7)

¹⁰⁰ DIRECTIVE 2012/29/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 25 October 2012, establishing minimum standards on

the right, support and protection of victims of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, §

განაცხევების მიღებაში მონაწილეობა მიღებული. მაგალითად, გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, დაზარალებულმა ქვემდგომ პროკურორის განაცხევების გაუქმების მოთხოვნით უნდა მიმართოს ზემდგომ პროკურორს, ხოლო თუ ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრება არ მიიყვანს საბოლოო შედეგამდე, მაშინ უნდა იდავის სასამართლო წესით.¹⁰¹ ისრაელის კანონმდებლობის მიხედვით დაზარალებულს შეუძლია პროკურორის განაცხევების გასაჩივროს გენერალურ პროკურორთან. მექსიკაში კი დაზარალებულს პროკურორის განაცხევების გასაჩივრება შეუძლია კონსტიტუციურ დონეზე.¹⁰²

¹⁰¹ Handbook on JUSTICE for VICTIMS, UN ODSSP, Centre for International Crime Prevention, New York, 1999, 38

¹⁰² DG JUSTICE GUIDANCE DOCUMENT relates to the transposition and implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 establishing minimum standards on the rights, support and protection of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, EUROPEAN COMMISSION, DG JUSTICE, December 2013, 30

4.2 დაზარალებულის უფლება იყოს ინფორმირებული სისხლისსამართალწარმოების შესახებ

ევროპია საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დანაშაულის მსხვერპლისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ინფორმაციის მიწოდება აუცილებელია მათი უფლებების დასაცავად.¹⁰³ ასევე ნოფორმაცია უნდა შეიცავდეს მინიმუმ შემდეგ ცნობებს: ინფორმაცია დანაშაულის მსხვერპლის მიეწარდგენილი საჩივრის შესახებ, ინფორმაცია სისხლის სამართალწარმოების შესახებ, ინფორმაცია სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.¹⁰⁴

4.3 დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაციისგან დაცვის მექანიზმი

ევროსაბჭოსა და ევროპის პარლამენტის 2012/26/EU დირექტივით დადგენილი წესის მიხედვით განსაზღვრულია კომპლექსური უფლებები და გარანტიები დაზარალებულისთვის მართლმსაჯულების განხორციელებისას.¹⁰⁵ ამით დაზარალებულს შესაძლებლობა ეძლევა თავის დაიცვას მოსალოდნელი ზიანისაან - მას შეუძლია აიღციოს სასამართლო პროცესზე თანხმლები პირები, მისი სასამართლო პროცესზე ჩვენების

¹⁰³ COUNCIL OF EUROPE COMMITTEE OF MINISTERS, Recommendation Rec (2006)8 of the Committee of ministers to member states on assistance to crime victims (Adopted by the Committee of Ministers on 14 June 2006 at the 967th meeting of the Ministers' Deputies), § 6.1.

¹⁰⁴ იქვე, § 6.5

¹⁰⁵ RESOLUTION 2011/C187/01 of 10 June 2011 OF THE COUNCIL OF EUROPEAN UNION on a Roadmap for strengthening the rights and protection of victims, in particular in criminal proceedings

მიცემა უნდა მოხდეს იმგვარად, რომ დანაშაულის მსხვერპლმა თავი იგრძნოს დაცულად.¹⁰⁶ ევროსაბჭოს მიერ შემუშავებულ რეკომენდაციაში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან მიმართებით მითითებულია, რომ უკეთესი იქნება თუ კოდექსს დაემატება შემდეგი დებულება, რაც მიზნად ისახავს ბრალდებულსა და ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა შორის უშუალო კონტაქტის თავიდან აცილებას. ასევე დაზარალებულს მიეცემა საშუალება ტითონ აირჩიოს მართლმსაჯულების განმხორციელებელი მოხელის სქესი. საყურადღებოა, რომ დაზარალებულისთვის ჩვენების ჩამორთმევა მოხდეს სხდომაზე დაუსწრებლად, სავარაუდო დამნაშავესთან კონტაქტის გარეშე შესაბამისი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით.¹⁰⁷ აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს მექანიზმი, რათა თავიდან აიცილოს დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაცია. ვიქტიმიზაციის გამეორების საფუძველი შეიძლება იყოს დაზარაებულზე ბრალდებულის მხრიდან უბრალოდ დაკვირვება.

4.4 სიცოცხლის ხელყოფის ან არასათანადო მოპყრობის შედეგად დაზარალებული პირები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით გადრაცვლილის ახლ ნათესავს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს მონაწილეობა მიიღოს გამოძებამი, რომ არ მოხდეს კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა. მსხვერპლის ოჯახის მონაწილეობა გამოძებში მათი ლეგიტიმური უფლებაა, ამ უფლების დარღვევა კი

¹⁰⁶ European Union Agency for Fundamental Rights, “Victims of crime in the EU: The extent and nature of support of victims“, 2014, 47.

¹⁰⁷ ევროპის კავშირის საბჭოს „ერთობლივი მოსაზრება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ,“ ვარშავა/სტრასბურგი, 2014, §82

ავტომატურად იწვევს კონვენციის დარღვევას.¹⁰⁸ საქმეზე „სალიმანი საფრანგეთის წინააღმდეგ“ სასამართლომ დაადგინა მეორე მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევა, ვინაიდან მსხვერპლის ახლო ნათესავს უარი ეთქვა საქმის მასალების გაცნობაზე და გამოძიებაში ჩართულობაზე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სიცოცხლის მოსპობის ნებისმიერ შემთხვევაში, მსხვერპლის ახლო ნათესავი ჩართული უნდა იყოს გამოძიების პროცესში იმ შესაძლებლობით, რომელიც აუცილებელი მისი ინტერესების დასაცავად.¹⁰⁹ კონვენციის მეორე მუხლის სრულყოფილად განხორციელებისთვის, სახელმწიფომ სიცოცხლის ხეყოფის საქმეები ყურადღებით და გულმოდგინედ უნდა გამოიძიოს. უნდა გაითვალისწინოს არა მხოლოდ სახელმწიფოს ოფიციალურ წარმომადგენელთა ქმედებები, არამედ სხვა ობიექტური გარემოებებიც. ერთ-ერთ საქმეში საქართველოს მთავრობამ აღიარა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა, რაც გამოიხატებოდა შემდგომი: სიცოცხლის ხეყოფის საქმეზე მიუხედავად მომჩივნის რეგულარული საჩივრებს წარგდენისა გამოძიება რამდენიმე წელი წინ არ მიიწვედა.¹¹⁰

4.5 ზიანის ანაზღაურება - რეპარაცია

დაზარალებულისთვის ზიანის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს გაერთიანლ ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დადგენილი სტანდარტებით. დანაშაულის მსხვერპლის მიმართ უნდა განხორციელდეს სწრაფი, ეფექტური რეპარაციები, რაც გულისხმობს რესტიტუციას, რეაბილიტაციას, კომპენსაციას, პრევენციასა და

¹⁰⁸ Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms. Article 2

¹⁰⁹ Enekidze and Girgvliani v. Georgia, no.25091/07, 26 April, 2011, § 243

¹¹⁰ მოქალაქე უ.ძ-ს საქმე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინება, მეოთხე სექცია, 9 სექტემბერი, 2014

დაკმაყოფილებას. რესტიტუცია ნიშნავს დაზარალებულის იმ მდგომარეობაში ჩაყენებას, რომელშიც იყო მანამ, სანამ მისი უფლებები დაირღვევოდა. კომპენსაცია ნიშნავს ფინანსურ ანაზღარებას მიყენებული დანაშაულის სანაცვლოდ. რეაბილტაცია გულისხმობს დაზარალებულის ღირსების და პატივის აღდგენას. პრევენციაში მოიაზრება ის ღონისძიებები, რომლებიც მომავალშია დაიცავს ადამიანის უფლებებს. დაკმაყოფილება ნიშნავს ეფექტური ქმედებების განხორციელებას დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთისთვის.¹¹¹

ევროსაბჭოს 2004 წლის 29 აპრილის დირექტივის რეკომენდაციის მიხედვით ეროვნული კანონმდებლობის დონეზე უნდა შეიქმნას ისეთი მექანიზმი, რომელის დამნაშავისთვის სტიმული იქნება დაზარალებულისთვის კომპენსაციის გადახდის ნაწილში. მაგალითად თუ ბრალდებული აუნაზღაურებს დამნაშავეს ზიანს, რა ფარგლებშიც მან დააღვია მსხვერპლის უფლებები, სახელმწიფომ ეს უნდა გაითვალისწინოს აღკვეთის ღონისძიების და სასჯელის შეფარდების ნაწილში.¹¹² დაზარალებული ზოგიერთ შემთხვევაში ვერ იღებს ანაზღაურებას დამნაშავისგან, რადგან შესაძლოა ბრალდებულს არ ჰქონდეს კომპენსაციისთვის საჭირო მატერიაური შესაძლებლობა ან სახელმწიფომ ვერ შეძლოს წარადგინოს სავარაუდო დამნაშავე. მსგავს შემთხვევაში დაზარალებულის უფლებების აღდგენაზე უნდა ზრუნავდეს სახელმწიფო. სახელმწიფომ უნდა გაუწიოს ფინანსური დახმარება დაზარალებულს ან მის ოჯახის წევრს დარღვეული უფლებების აღდგენისთვის.¹¹³

¹¹¹ Basic Principles and Guidelines in the Right to a Remedy and Reparation for Victims of Gross Violations of International Human Right Law and Serious Violation of International Humanitarian Law, Adopted and proclaimed by General Assembly resolution 60/147 of 16 December 2005, § 9

¹¹² DIRECTIVE 2004/80/EC victims of 29 April 2004 of THE COUNCIL OF THE EUROPEAN UNION on relationg to compensation to crime victims, § 37

¹¹³ „დანაშაულებრივი ქმედებების მსხვერპლთა დაცვის შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაცია, § 12 (a).

4.6 სამართლიანი სასამართლოს უფლება დაზარალებული პირებისთვის

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული მე-6 მუხლის ადრესატი ძირითადად არის ბრალდებული. ამის გამო დაზარალებულის მხრიდან ზშირად შედიოდა განცხადებები უფლების დარღვევის ნაწილში, მაგრამ დაუშვებლად ცხადდებოდა. თუმცა, შემდგომ სამართლიანი სასამართლოს უფლების ფარგლები გაიზარდა და დაზარალებულსაც შეეხო. კონვენცია ფართო უფლებებს ანიჭებს დაცვას, მაგრამ ამით არ უნდა შეიზღუდოს დაზარალებული მხარის უფლებები.¹¹⁴ დაზარალებულის ინტერესი შეიძლება იყოს არა მარტო კომენსაცია, არამედ ეფექტიანო გამოძიების ჩატარება და პასუხისმგებელი პირების მხილება.¹¹⁵

4.7 დაზარალებულის უფლებების აშშ-ს კანონმდებლობის მიხედვით

დაზარალებულისთვის შემლუდული უფლებების არსებობას ქართლი კანონმდებლობით შეჯიბრებითი სისტემის არსებობის გამო სხნიან, ამ დროს მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით. ამერიკის შეერთებულ შტატებშიც მოქმედებს შეჯიბრებითი მოდელი, მაგრამ დაზარალებულის უფლებები უფრო ფართო და

¹¹⁴ Perez v. France, no. 47287/99, 12 December, 2004, § 72.

¹¹⁵ Kaya v. Turkey, no. 158/1996/777/978, 19 February, 1998, § 107

კონკრეტიზებულია. აშშ-ს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით დაზარალებულს აქვს: უფლება გონივრულ დაცვაზე, ინფორმაციის მიღების უფლება, დასწრების უფლება, პოზიციის დაფიქსირების უფლება გარკვეულ საკითხებთან მიმართებით, ადვოკატის აყვანის უფლება, რესტიტუციის უფლება, საქმის გახილვის არაგონივრულად გახანგრძლივებისგან დაცვის უფლება, პატივის და ღირსების დაცვის უფლება.¹¹⁶ უფლება გონივრულ დაცვაზე გულისხმობს დაზარალებულის უფლებას დაცული იყოს დამნაშავეს ქმედებისგან. შენარჩუნებული იყოს დაზარალებულის ფიზიკური და ფსიქიკური უსაფრთხოება. დაზარალებულმა უნდა იცოდეს ნემისმიერი ინფორმაცია გამოძიების პროცესში რატა დაიცვა საკუთარი თავი. მაგალითად, ჰქონდეს ინფორმაცია გირაოს სანაცვლოს პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ, წინასასამართლო სხდომამდე პირის გათავისუფლების შესახებ. დასწრების უფლებაში მოიაზრება საგამოძიებო მოქმედებებზე და სასამართლო პროცესებზე პირის სურვილისამებრ დასწრების შესაძლებლობას.¹¹⁷

¹¹⁶ U.S. Code of Criminal Procedure, Title 18, Part II, chapter 237, § 3771.

¹¹⁷ იქვე, § 3771

დასკვნა

დაზარალებული მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესში და შესაბამისად სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო სისტემა შეძლებისდაგვარად სრულყოფილად უნდა იცავდეს მის უფლებებს და ინტერესებს. გარკვეული ცვლილებები სისხლის სამართლის პროცესში წინადადებული ნაბიჯია, მაგრამ არის მთელი რიგი პრობლემები, რომელიც არ არის აღმოფხვრილი დღესდღეობითაც.

ერთი-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა გასაჩივრების უფლება. დაზარალებულს არ აქვს უფლება ნებისმიერი კატეგორიის დანაშაულზე გაასაჩივროს პროკურორის გადაწყვეტილება. გასაჩივრება ეხება სასამართლოს გზით მსხვერპლის ინტერესების დაცვას. მხოლოდ ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრება არა არის საკმარისი დაზარალებულის უფლებების დასაცავად, მას უნდა ეძლეოდეს შესაძლებლობა იდავოს სასამართლო სისტემაში.

საკანონმდებლო დონეზე, თუ გამოძიების ინტერესებს ეწინააღმდეგება, დაზარალებულს არ აქვს საქმის მასალების გაცნობის უფლება. დაზარალებულისთვის არსებითად მნიშვნელოვანია იცოდეს მიმდინარე საქმე და ჰქონდეს ინფორმაცია რა მასალები დევს სისხლის სამართლის საქმეში. მაგრამ თუ პროკურორი და გამოძიებელი უარს აცხადებს მასალების გადაცემა, ეს უნდა იყოს დასაბუთებული.

ასევე, დაზარალებულს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია ისეთ თარიღებთან დაკავშირებით, როგორცაა წინასასამართლო და მთაარი სხდომა, საპროცესო შეთანხმების შესახებ სხდომა, სასჯელის შეფარდების სხდომა და სხვა. ამ თარიღების ცოდნა არ უნდა იყოს დამოკიდებული დაზარალებულის მოთხოვნაზე, ვინაიდან შეიძლება, ზოგ შემთხვევაში დაზარალებული არ იყოს საკმარისად ინფორმირებული, რომ მას აქვს ამ თარიღების ცოდნის უფლება. საკანონმდებლო დონეზე, ინფორმაციის მიწოდების უფლება უნდა იყოს პროკურორის ვალდებულება.

საერთაშორისო დონეზე აღიარებული აღნიშნული პრაქტიკა: მოთხოვნის შემთხვევაში დაზარალებული უნდა დაიკითხოს დისტანციურად, ბრალდებულთან ფიზიკური ან ფსიქოლოგიური კავშირის გარეშე. იმ ალტერნატიულ საშუალებებს, რომლითაც შესაძლოა მსხვერპლის დაკითხვა საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, საპროცესო შეთანხმების დროს, დაზარალებულს უფლება აქვს მიანდლოს მოსამართლეს ინფორმაცია იმ ზიანის შესახებ, რომელიც მიაღდა. აღნიშნულ ჩანაწერს უნდა დაემატოს ზიანი, რომელიც შესაძლოა მიდგომოდა დამნაშავეს ქმედების შედეგად.

მიუხედავად გარდამტეხი ცვლილებებისა, აუცილებელია განხორციელდეს მთელი რიგი ღონისძიებები კანონმდებლობაში, რომლის შმეშვეობითაც დაზარალებული შეძლებს დარღვეული უფლებების აღდგენას. როდესაც მსხვერპლი სახელმწიფოს მხრიდან დაცულად იგრძნობს თავს, მარტივად განხორციელდება მისი საზოგადოებაში დაბრუნება და სრუყოფილი თანაცხოვრება. დაზარალებულისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მართლმსაჯულების განხორციელება და უნდა მიეცეს შესაძლებლობა გამყარებული და გარანტირებული იყოს მისი კონსტიტუციური უფლებები. სხვა შემთხვევაში, დაზარალებულს მდგომარეობის უგულებელყოფით და უფლებათა შეზღუდვით, სახელმწიფო და სამართალდამცავი ორგანოები დაკარგავენ საზოგადოების

ნდობას და ეჭვებში დაყენდება მათი ლეგიტიმური უფლებამოსილება ზოგადად ადამინის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით.